საჯარო მმართველობის რეფორმის

2019 2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროგრეს ანგარიში

(იანვარი-ივნისი, 2020)

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
აგვისტო, 2020

სარჩევი

83.4 ▸ მოკლე შეჯამება

83.7 ▸ შესავალი

- 83.7 ▸ რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი
- 83.8 ▸ კომუნიკაცია
- 83.8 ▸ მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია
- 83.9 ▸ მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

83.12 ▸ ზოგადი პროგრესი

- 83.14 ▸ მნიშვნელოვანი მიღწევები
- 83.15 ▸ გამოწვევები და რეკომენდაციები
- 83.16 ▸ ფინანსური ხარჯები

83.17 ▸ I. პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

83.24 ▸ II. საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

83.27 ▸ III. ანგარიშვალდებულება

83.34 ▸ IV. სახელმწიფო სერვისების მიწოდება

83.43 ▸ გამოწვევები, რისკები და რეკომენდაციები

83.45 ▸ დანართი 1

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
საჯარო მმართველობის სამმართველო
პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის
დეპარტამენტი
აგვისტო, 2020

მოკლე შეჯამება

საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში 2015 წლიდან ხორციელდება ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. რეფორმის დაწყებიდან დღემდე, რეფორმის ფარგლებში ნაკისრი არაერთი ვალდებულება წარმატებით იქნა მიღწეული, რაც უზრუნველყოფს **გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის** ჩამოყალიბებას.

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროგრესი ანგარიშია და მისი მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების პროგრესის ჩვენება, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება.

2020 წელი, I-II კვარტალი

15 ამოცანა → **38** აქტივობა → **51** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- მომზადდა **საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია** (გვ. 18)
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა **გაიზარდა 227-მდე (61,7%-მა მიიღო წარჩინების სერტიფიკატი)** (გვ. 18)
- **რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ტრენინგ-მოდულში** საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი გადამზადდა (გვ. 21)
- ელექტრონულ პორტალზე ethics.gov.ge საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს **ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი** (გვ. 24)
- შეიქმნა **ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდი** (გვ. 29)
- შემუშავდა **ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის** სამუშაო ვერსია (გვ. 29)
- შემუშავდა **სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტი** (გვ. 36)
- ელექტრონულ პორტალ My.gov.ge-ზე **სერვისების რაოდენობა 646-მდე გაიზარდა** (გვ. 38)

აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების სტატუსი



- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია

აქტივობის შედეგის ინდიკატორების რაოდენობა პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით

12	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
7	სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო
18	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
8	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
6	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

2020 წლის II კვარტალში შესასრულებელი აქტივობის შედეგის ინდიკატორების რაოდენობა უწყებების მიხედვით

პასუხისმგებელი უწყება	სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	4 ▶ 33%	5 ▶ 42%	3 ▶ 25%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	-	2 ▶ 25%	6 ▶ 75%
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო*	-	5 ▶ 83%	1 ▶ 17%
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2 ▶ 29%	3 ▶ 43%	2 ▶ 29%
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	1 ▶ 6%	8 ▶ 44%	9 ▶ 50%

*ყოფილი სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დახარჯული ფინანსური რესურსი



დონორული დახმარება



სახელმწიფო ბიუჯეტი

ძირითადი გამოწვევები

- ახალი კორონავირუსის პანდემიის გავლენა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე
- განხორციელების ვადების დაცვა

რეკომენდაციები

- დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები.
- დროულად ეცნობოს სამდივნოს ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად შექმნილი შეფერხებების შესახებ, რამაც შესაძლოა 2020 წლის ბოლოს ხელი შეუშალოს გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.
- პასუხისმგებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ შეჩერებული აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების პროცესის გაგრძელება.
- პასუხისმგებელმა უწყებებმა სამდივნოს დროულად წარმოუდგინონ შესაბამისი დადასტურების წყაროები.

შესავალი

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოში 2015 წელს დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმა (რეფორმა), რომლის კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით.[1]

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ექსპერტების მხარდაჭერით, შემუშავდა **რეფორმის გზამკვლევი 2020**, რომელიც სტრატეგიული ქოლგა დოკუმენტია და საჯარო მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით მთავრობის ძირითად ამოცანებს განსაზღვრავს.[2] გზამკვლევის განხორციელების მიზნით შემუშავდა სამი სამოქმედო გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება.[3]

რეფორმის უწყვეტობის და მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა აქტიური ჩართულობის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, 2016 წელს შეიქმნა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭო (საბჭო), რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ხელმძღვანელობს.[4] რეფორმა ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპებს[5] ეყრდნობა და 5 ძირითად, და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, დამატებით კიდევ ერთ მიმართულებას ითვალისწინებს, ესენია:

- **პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია**
- **საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა**
- **ანგარიშვალდებულება**
- **სახელმწიფო სერვისების მიწოდება**
- **საჯარო ფინანსების მართვა**
- **ადგილობრივი თვითმმართველობა**

რეფორმის რიგით მესამე, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნოს (სამდივნო) მიერ OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობით მომზადდა.

სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის შედეგის გაზომვის მიზნით შემუშავდა შედეგის ინდიკატორები კონკრეტული რაოდენობრივი ან ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების მითითებით. შესაბამისად, გაანალიზდა არსებული მდგომარეობა და შედეგი, რომელიც სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის განხორციელებას უნდა მოყვეს. სამოქმედო გეგმა **23 ამოცანას, 35 ამოცანის შედეგის ინდიკატორს, 78 აქტივობასა და 119 აქტივობის შედეგის ინდიკატორს** ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში პირველად იქნა გამოყენებული საჯარო კონსულტაციების ელექტრონული მეთოდი.

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროგრეს ანგარიშს წარმოადგენს და მისი მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული **აქტივობებისა და მათი შედეგის ინდიკატორების** განხორციელების პროგრესის ჩვენება **2020 წლის იანვრიდან 30 ივნისის მდგომარეობით** (I-II კვარტალი), მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება.

ანგარიში შემუშავდა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნოს (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო) მიერ პროცესში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას 2015 წელს დაევალა. 2016 წელს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით შეიქმნა საბჭო, რომლის ფუნქციაა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ სამდივნოს ინიციატივით, 2020 წლის 27 იანვარს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც რეფორმის საბჭო დამოუკიდებელ სათათბირო ორგანოდ ჩამოყალიბდა, ნათლად გაიწერა მისი უფლება-მოვალეობები, შემადგენლობა და საქმიანობის წესი.[6]

---

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4.

[2] საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020.

[3] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივნისის დადგენილება №274 „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

[4] საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება „საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილების ცვლილება იხილეთ ქვე-თავში „რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი“).

[5] ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპები.

[6] საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის N17 ბრძანება „საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

საბჭოს სამდივნოს ფუნქცია დაეკისრა მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის **საჯარო მმართველობის სამმართველოს,** რომელიც 2019 წელს ჩამოყალიბდა. სამდივნო უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ანალიტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერასა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. წინამდებარე ანგარიში 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში შემუშავებული რიგით მესამე დოკუმენტია.

მონიტორინგის ანგარიშები განსახილველად და დასამტკიცებლად საბჭოს წარედგინება. 2019 წელს განხორციელებული აქტივობების განხილვის მიზნით რეფორმის საბჭოს სხდომა საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის 7 თებერვალს გაიმართა. შეხვედრაზე სამდივნომ 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის პროგრეს ანგარიში წარადგინა, რომელიც 2019 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდს მოიცავს. გარდა ამისა, შეხვედრაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა მიმოიხილეს სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით. აღსანიშნავია, სხდომაზე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრი, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ საბჭოს სამუშაო პროცესში. გამართულ დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს OECD/SIGMA-ს ექსპერტებმა, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP), საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ხელმძღვანელებმა, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში საბჭო და სამდივნო ონლაინ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის მონიტორინგის ანგარიში საბჭომ წერილობითი პროცედურით დაამტკიცა. ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.[7]

კომუნიკაცია

2020 წელს სამდივნოს აქტიური ჩართულობით და გაერო-ს განვითარების პროგრამისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის პროექტის - „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“- მხარდაჭერით, შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის კომუნიკაციის სტრატეგია** და ბრენდბუქი, რომელიც სტრატეგიის განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტია. წინამდებარე ანგარიშის მომზადების ეტაპზე მიმდინარეობს კომუნიკაციის სტრატეგიის თანამდევი სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესი.

აღნიშნული ნაბიჯები მიზნად ისახავს ქვეყანაში საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესის გაძლიერებას, რეფორმის ფარგლებში მიღწეული წარმატებული, მიმდინარე და სამომავლო აქტივობების შესახებ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას. კომუნიკაციის სტრატეგია უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას. კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიები საბჭოს 2020 წლის ბოლოს წარედგინება.

მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის მეთოდოლოგია ეყრდნობა ერთი მხრივ, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს,[8] ხოლო მეორე მხრივ, OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ინსტრუმენტს.[9]

აქტივობათა შედეგის ინდიკატორები შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდა:

მონიტორინგის კრიტერიუმები

რეიტინგი	**სრულად შესრულდა**	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ყველა ეტაპი სრულად შესრულდა (100%)
	ნაწილობრივ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ეტაპების სულ მცირე ნახევარი შესრულდა (სულ მცირე 50%)
	არ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი არც ერთი განხორციელების ეტაპი არ შესრულდა (0%)

[7] საქართველოს მთავრობა, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019.

[8] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N629 დადგენილებით დამტკიცებული “პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის” მიხედვით, სახელმძღვანელოს წესები ვრცელდება პოლიტიკის იმ დოკუმენტებზე, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან დამტკიცდება მთავრობის მიერ. მიუხედავად ამისა, მოცემული ანგარიში მომზადებულია სახელმძღვანელოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით.

[8] OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ინსტრუმენტი.

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მონიტორინგის კრიტერიუმები აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულებას ასახავს. კერძოდ, **რეიტინგი** აქტივობის შედეგის ინდიკატორის **შინაარსობრივ შესრულებას** აფასებს (რა მოცულობით შესრულდა დაგეგმილი აქტივობა), ხოლო სტატუსი განხორციელების პროცესის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას.

გამოწვევების რეალურ რეჟიმში გამოსავლენად, მნიშვნელოვანია, დავინახოთ არა მხოლოდ შესრულებული საქმის მოცულობა, არამედ პროცედურული მიმდინარეობაც. მაგალითად, შესაძლოა მონიტორინგის ეტაპისთვის აქტივობა უმეტესწილად შესრულდა, თუმცა, პრიორიტეტების ცვლილების ან/და სხვა მიზეზით, მისი დასრულება აღარ იგეგმება. ასეთ შემთხვევაში, შეფასების განხორციელების პროცესში, რეფორმის საბჭოს სამდივნოს აქვს შესაძლებლობა, გამოავლინოს შეჩერებული ან/და გაუქმებული აქტივობები, გამომწვევი მიზეზები და შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებს მიაწოდოს რეკომენდაციები.

მონიტორინგის ანგარიში მოიცავს **2020 წლის იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს (I - II კვარტალი).** სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის მეთოდოლოგიის თანახმად, სამდივნომ შეაფასა სამოქმედო გეგმის იმ აქტივობის შედეგის ინდიკატორების პროგრესი, რომელთა შესრულების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის II კვარტლის ბოლო. აგრეთვე, ანგარიში მოიცავს აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც 2019 წელს:

- **უნდა დასრულებულიყო,** თუმცა, 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშის შეფასების თანახმად, ნაწილობრივ ან არ შესრულდა;
- 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშის შეფასების მიხედვით **სრულად შესრულდა, თუმცა** პასუხისმგებელმა უწყებამ განხორციელება 2020 წელსაც გააგრძელა.

ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების შესრულება 2020 წლის წლიურ ანგარიშში შეფასდება.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო:

I ეტაპი

სტატუს ანგარიში, რომელშიც ასახულია სამოქმედო გეგმის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, ეგზავნებათ პასუხისმგებელ საჯარო უწყებებს განხორციელების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, დადასტურების წყაროების წარმოსადგენად

II ეტაპი

სამდივნო ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და კომენტარებისთვის უგზავნის ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს 1 კვირის ვადით

III ეტაპი

სამდივნო ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს PAR-ის საბჭოსთვის წარსადგენად

მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

სამოქალაქო სექტორის ჩართულობის დონე გაუმჯობესდა როგორც რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე განხორციელების მონიტორინგის ანგარიშების მომზადების ეტაპზე.

2020 წლის 7 თებერვალს გამართულ რეფორმის საბჭოს სხდომაზე სამოქმედო გეგმის **პროგრეს ანგარიშის** შედეგების პრეზენტაციას ადგილობრივი სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ხაზგასასმელია, რომ შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით წარიმართა. საბჭოს სხდომაზე გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების კითხვებს უპასუხეს. სამოქალაქო საზოგადოებამ სხდომაზე წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და თანამდევი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული. სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების დროს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას მონიტორინგის ცალკე ეტაპი დაეთმო. სამდივნომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი სტატუს ანგარიშები შეფასებისთვის ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუზიარა.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია **სამდივნოს შეფასება, რომელიც სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებისა და პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი დადასტურების წყაროების ანალიზს ეფუძნება.** აღნიშნულის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ მითითებული **რეიტინგი და სტატუსი** შემდეგი აქტივობის შედეგის ინდიკატორებისთვის შეიცვალა:

აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყების შეფასება		სამდივნოს საბოლოო შეფასება	
	რეიტინგი	**სტატუსი**	**რეიტინგი**	**სტატუსი**
1.3.1.1. საბჭოს ელ. პორტალის შემუშავების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.2. საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.3. შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.4. შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.1. ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია ელექტრონული სისტემა (პროგრამა) და გაშვებულია მოხმარებაში	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.2. მომზადებულია ელექტრონული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.3. ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
2.1.6.3. გამართულია სულ მცირე 3 საჯარო განხილვა კანონში და კანონქვემდებარე აქტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
3.1.2.2. სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
4.1.2.2. ჩატარებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციების საჯარო პრეზენტაცია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
4.1.3.1. სერვისების დიზაინის ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.3.2. სერვისის დიზაინის ტრენინგი გავლილი აქვს ყველა სერვისის მიმწოდებელი უწყების სულ მცირე 3 შესაბამის თანამშრომელს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
4.2.3.1. სერვისების მიწოდების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.2.3.2 სერვისების მიწოდების ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა

აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყების შეფასება		სამდივნოს საბოლოო შეფასება	
	რეიტინგი	**სტატუსი**	**რეიტინგი**	**სტატუსი**
4.3.1.1 სერვისის ინდექსის კონცეფცია და მეთოდოლოგია შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.4.2. მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
4.4.2.1. ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდული ინტეგრირებულია სასწავლო ცენტრის კურიკულუმში და ტრენინგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის.	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.4.2.2. ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
4.7.2.1. მინიმუმ 3 უწყებაში დანერგილია ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა.	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ზოგადი პროგრესი

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში შეფასდა **15 ამოცანის 51 აქტივობის შედეგის ინდიკატორი** საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის **ოთხ სფეროში:** პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება და სახელმწიფო სერვისების მიწოდება. საჯარო ფინანსების მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებები არ მოიცავდა საანგარიშო პერიოდში შესასრულებელ აქტივობის შედეგის ინდიკატორებს.

ანგარიში აფასებს იმ აქტივობის შედეგის ინდიკატორების პროგრესს, რომელთა შესრულების ვადად 2020 წლის II კვარტლის ბოლო განისაზღვრა. აგრეთვე, იმ აქტივობის შედეგის ინდიკატორებს, რომელთა განხორციელებაც 2019 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა წლიური მონიტორინგის ანგარიშის (2019) შეფასების თანახმად: (ა) ნაწილობრივ ან არ შესრულდა; (ბ) სრულად შესრულდა, თუმცა პასუხისმგებელმა უწყებამ განხორციელება 2020 წელსაც გააგრძელა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შედეგის ინდიკატორები

2020, II კვარტალი



სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიურ ანგარიშში (2019) აღინიშნა შესაძლო უარყოფითი გავლენა, რაც ახალი კორონავირუსის პანდემიისა და ვირუსის გავრცელების შეკავებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს შესაძლოა ჰქონოდათ სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადებზე.[10] საგანგებო მდგომარეობის მართვისა და კოორდინაციის ფარგლებში, აგრეთვე, პანდემიის მასშტაბისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საჯარო ადმინისტრაციის ადამიანური და ფინანსური რესურსის დიდი ნაწილის მობილიზება კრიზისის მენეჯმენტთან დაკავშირებულ სამუშაოზე. გარდა ამისა, გლობალურად, პანდემიამ შეცვალა საჯარო ადმინისტრაციის სამუშაო რეჟიმი და გამოიწვია კოორდინაციის არსებული სისტემების გადაფასება.

2020 წლის შუალედური მონიტორინგის მიგნებებმა ცხადყო, რომ აღნიშნული მოვლენები უარყოფითად აისახა საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ვადებზეც. უმეტეს შემთხვევაში, პანდემიამ დაგეგმილი აქტივობების განხორციელების 2020 წლის მეორე ნახევარში გადატანა გამოიწვია.

2020 წლის II კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა საბჭოს სამდივნოს შეფასებით



[10] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019, გვ. 52. ხელმისაწვდომია აქ.

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით **საანგარიშო პერიოდში შეფასდა 4 ამოცანის 14 აქტივობის შედეგის ინდიკატორი,** რომელთაგან 6 ინდიკატორის შესრულება 2019 წლის III და IV კვარტლებით იყო გათვალისწინებული და სამდივნოს წლიური მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, ნაწილობრივ ან არ შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მეორე კვარტლის დასასრულს, აღნიშნული 6 აქტივობის შედეგის ინდიკატორიდან **მხოლოდ ერთს**[11] **შეეცვალა სტატუსი** და **სრულად შესრულდა.** რაც შეეხება დანარჩენ ინდიკატორებს, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელოს მე-11 დანართი - საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია; თუმცა, გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო, შეფერხდა მისი მთავრობისათვის წარდგენა და დამტკიცება. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორი[12], მიუხედავად პროგრესისა, კვლავ **ნაწილობრივ შესრულებულად რჩება.** წლიური მონიტორინგის ანგარიშში ასახული პროგრესი **უცვლელი დარჩა** ამოცანა 1.3-ის ქვეშ განსაზღვრული ყველა აქტივობის შედეგის ინდიკატორისთვის,[13] თუმცა შეიცვალა მათი სტატუსი - საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის განხორციელების პროცესი **შეჩერებულია.**

სამდივნოს შეფასებით, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულების აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების პროგრესი 3 ამოცანასთან მიმართებით მეტწილად სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად მიმდინარეობს. გამონაკლისს წარმოადგენს ამოცანა 1.3-ის აქტივობის ინდიკატორების განხორციელების პროგრესი, რომელიც რისკის ქვეშ აყენებს ამოცანისა და ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულებას სამოქმედო გეგმის დასასრულისთვის (2020, IV). (ვრცლად იხილეთ გვ.: 17)

14 აქტივობის შედეგის ინდიკატორი (2020, II კვარტალი)

საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

სამოქმედო გეგმის საჯარო სამსახურის და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შეფასდა 1 ამოცანის 4 აქტივობის შედეგის ინდიკატორი. მათგან 2 აქტივობის შედეგის ინდიკატორი[14] 2019 წლის ბოლოს უნდა შესრულებულიყო, თუმცა წლიური ანგარიშის მიხედვით ნაწილობრივ ან არ შესრულდა.

აღნიშნული 2 ინდიკატორის შესრულების მიზნით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ აქტიური მუშაობა განაგრძო და მათგან ერთ-ერთი[15] 2020 წლის მონიტორინგის ეტაპზე სრულად შეასრულა. უწყების მიერ ასევე სრულად შესრულდა 2020 წლის I კვარტალში განსახორციელებელი აქტივობის შედეგის ინდიკატორი[16].

სამდივნოს ზოგადი შეფასებით, პროგრესი უმეტესად სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად მიმდინარეობს. (ვრცლად იხილეთ გვ.: 24)

4 აქტივობის შედეგის ინდიკატორი (2020, II კვარტალი)

ანგარიშვალდებულება

ანგარიშვალდებულების მიმართულებით შეფასდა 4 ამოცანის 10 აქტივობის შედეგის ინდიკატორი. მათგან 8 აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2019 წლის ბოლოს უნდა განხორციელებულიყო, თუმცა წლიური ანგარიშის (2019) მიხედვით 7 აქტივობის შედეგის ინდიკატორი ნაწილობრივ ან არ შესრულდა, ხოლო 1 სრულად შესრულებული აქტივობის შედეგის ინდიკატორის განხორციელება (3.1.1.1) 2020 წელს გაგრძელდა და საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა.

[11] შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავდა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი.
[12] აქტივობის შედეგის ინდიკატორი 1.1.1.3: მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები - ინსტრუქციები/შაბლონები.
[13] აქტივობის შედეგის ინდიკატორები: 1.3.1.1, 1.3.1.2, 1.3.1.3, 1.3.1.4.
[14] აქტივობის შედეგის ინდიკატორები: 2.1.6.3, 2.1.6.4.
[15] აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2.1.6.4: კანონის პროექტი წარდგენილია მთავრობისთვის.
[16] აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2.1.3.1.: ელექტრონული სასწავლო კურსი ფუნქციონირებს საპილოტე რეჟიმში.

აღნიშნული 8 აქტივობის შედეგის ინდიკატორიდან 2020 წლის II კვარტლის მონაცემებით შეიცვალა სამი მათგანის განხორციელების პროგრესის შეფასება:

- 3.1.1.1. სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის შედეგად - მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება 2019 წელს სრულად შესრულდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროცესის გაგრძელების შესახებ. სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო აგრძელებს სსიპ-ების ფუნქციებისა და უფლებამოსილების ანალიზის მეორე ეტაპის განხორციელებას;
- 3.4.3.1. OGP საქართველოს ვებგვერდი შექმნილია - ვებგვერდი www.ogp.gov.ge - შექმნილია და რეალურ რეჟიმში ფუნქციონირებს.
- 3.5.1.1. ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი პარლამენტისთვის წარდგენილია - სამოქმედო გეგმის მიხედვით, აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2019 წლის ბოლოს უნდა შესრულებულიყო. თუმცა, რადგან საანგარიშო პერიოდში პროგრესი არ დაფიქსირდა, ნაწილობრივ შესრულებულის ნაცვლად, ინდიკატორი არ შესრულებულად ჩაითვალა.

საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ შესრულდა ღია მმართველობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოებისა და ყველა სამინისტროს ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობის შედეგის ინდიკატორები. სამოქმედო გეგმის მიხედვით, მათი განხორციელება 2020 წლის II კვარტალში უნდა დასრულებულიყო, თუმცა პროცესი შეაფერხა კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილმა სიტუაციამ. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დასრულება 2020 წლის მეორე ნახევარში იგეგმება. (ვრცლად იხილეთ გვ.: 27)

10 აქტივობის შედეგის ინდიკატორი (2020, II კვარტალი)

სახელმწიფო სერვისების მიწოდება

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შეფასდა 6 ამოცანის 23 აქტივობის შედეგის ინდიკატორი. შეფასებული 12 აქტივობის შედეგის ინდიკატორი სამოქმედო გეგმის მიხედვით 2019 წლის ბოლოს უნდა შესრულებულიყო, თუმცა გამოწვევებისა და რიგი შეფერხებების გამო ნაწილობრივ ან არ შესრულდა. პასუხისმგებელმა უწყებებმა აღნიშნული მიმართულებებით მუშაობა განაგრძეს და 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით, 5 შეუსრულებელი აქტივობის შედეგის ინდიკატორი ნაწილობრივ ან სრულად შეასრულეს.[17]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებაში მნიშვნელოვანი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულებას აფერხებს სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის დამტკიცების დაყოვნება. აღნიშნული აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა, როგორც 2019 წლის წლიურ ანგარიშში, ასევე წინამდებარე ანგარიშში.

სამდივნოს ზოგადი შეფასებით, პროგრესი სახეზეა, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებს. (ვრცლად იხილეთ გვ.: 34)

23 აქტივობის შედეგის ინდიკატორი (2020, II კვარტალი)

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- მომზადდა **საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია** (გვ. 18)
- **შემუშავდა** პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის **ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი** (გვ. 19)
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში **გადამზადებული 227 საჯარო მოხელიდან 140-მა (61,7%) წარჩინების სერტიფიკატი მიიღო** (გვ. 18)
- საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი **გადამზადდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მოდულში** (გვ. 21)

[17] აქტივობის შედეგის ინდიკატორები: 4.2.1.1; 4.3.1.1.; 4.3.3.1; 4.4.1.1; 4.7.4.1.

- ელექტრონულ პორტალზე ethics.gov.ge საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს **ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი** (გვ. 24)
- მომზადდა **„პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის N315 დადგენილებით დამტკიცდა (გვ. 24)
- ღია მონაცემების პორტალზე data.gov.ge გამოქვეყნებულია **719 მონაცემთა ცხრილი XML და CSV ფორმატში** (გვ. 28)
- შეიქმნა **ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდი** (გვ. 29)
- შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს **კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია** (გვ. 29)
- შემუშავდა **სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის** დოკუმენტი (გვ. 36)
- შემუშავდა **საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) შესახებ ტრენინგ-მოდული**, რომელიც დაინერგა იუსტიციის სასწავლო ცენტრის კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (გვ. 36)
- ელექტრონულ პორტალ My.gov.ge-ზე **სერვისების რაოდენობა 646-მდე გაიზარდა** (გვ. 38)
- მომზადდა **კიბერჰიგიენის სასწავლო მასალა** (გვ. 39)

გამოწვევები და რეკომენდაციები

საანგარიშო პერიოდში აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების პროცესში გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე

პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ვადებზე პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ანგარიშვალდებულებისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით.

განხორციელების ვადების დაცვა

სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე აქტივობების შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასების შედეგად განხორციელების ვადების დაცვა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, მიწოდების კუთხით.

აქტივობის შედეგის ინდიკატორების პროგრესის ანალიზის შედეგად, სამდივნომ რეფორმის თითოეული მიმართულებით შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

- მოკლე ვადაში დასრულდეს და ამოქმედდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რათა არ შეფერხდეს აღნიშნულზე დამოკიდებული სხვა აქტივობების განხორციელება (მათ შორის, 2020 წლის ბოლომდე განხორციელდეს ელექტრონული სისტემის 100 მომხმარებლის გადამზადება);
- ინტენსიურად გაგრძელდეს RIA-ს ტრენინგები;
- მოკლე ვადებში მიღებულ იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის შემუშავების საჭიროების შესახებ.

ანგარიშვალდებულება

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავება;
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების განხორციელების პროცესში სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართვა, ვინაიდან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებას სწორედ გარე აქტორების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ღია მმართველობის ახალი სამოქმედო გეგმის მომზადება და საჯარო კონსულტაციების გამართვა.

საჯარო სერვისების მიწოდება

- მოკლე ვადებში იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის წარდგენა მთავრობისთვის, რათა არ შეფერხდეს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება
- მოკლე დროში დასრულდეს ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებზე მუშაობა, რათა შემუშავდეს მათი შესაბამისი ტრენინგ მოდულები და გადამზადდნენ სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომლები
- ჩატარდეს მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა სერვისის მიმწოდებელ ერთ სახელმწიფო უწყებაში
- განხორციელების პროცესი გაგრძელდეს და სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოკლე ვადებში წარედგინოს მთავრობას
- გაგრძელდეს სერვისის მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა გადამზადება CAF-ის შესახებ შექმნილი ტრენინგ მოდულის შესაბამისად
- მოკლე ვადებში იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილების პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა
- გაგრძელდეს პორტალ My.gov.ge-ზე უკუკავშირის მექანიზმების სრულყოფილად ინტეგრირება და პორტალზე ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალების განთავსება
- უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ფინანსების მოძიება და ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დამატებით 2 უწყებაში დანერგვა.

ფინანსური ხარჯები

2020 წლის II კვარტალში აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება **1 270 543 ლარის** ოდენობით, რომელიც სრულად არ იქნა ათვისებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგი ღონისძიებების შესასრულებლად დონორის მხარდაჭერა დაანგარიშდა კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე. მაგალითად, ანგარიშვალდებულების მიმართულებით სამოქმედო გეგმის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ არის მითითებული ფინანსური ხარჯი, ვინაიდან, როგორც სამოქმედო გეგმაშია განმარტებული, ამ უკანასკნელის მოცულობა უშუალოდ აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე უნდა განისაზღვროს. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში დახარჯული დონორული დახმარება **443 164.25** ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში დეფიციტად განსაზღვრული თანხის (**18 000 ლარი**) მოძიება არ გახდა საჭირო, ვინაიდან ამ თანხით გათვალისწინებული სერვისი 2019 წელს უსასყიდლოდ განხორციელდა.

დონორული დახმარების დარჩენილი ნაწილის სრულად ათვისება მოხდება ეტაპობრივად, დაგვიანებით შესრულებული აქტივობების განხორციელების პროცესში.

ფინანსური ხარჯი - დონორული დახმარება



ფინანსური ხარჯი - სახელმწიფო ბიუჯეტი

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

4 ამოცანა → **10** ამოცანის შედეგის ინდიკატორი → **17** აქტივობა → **30** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2020 წელი, II კვარტალი ▶▶▶ **14 აქტივობის შედეგის ინდიკატორი** ◀◀◀

საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შემდგომი განვითარება, მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება.

აღნიშნული მიმართულებით, წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ინფორმაციას **4 ამოცანის 14 აქტივობის შედეგის ინდიკატორის** შესრულების პროგრესის შესახებ, 2020 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით.

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების სტატისტიკა 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით

რეიტინგი



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი



- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- მომზადდა **საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია**
- **შემუშავდა** პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის **ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი**
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში **გადამზადებული 227 საჯარო მოხელიდან 140-მა (61,7%) წარჩინების სერტიფიკატი მიიღო**
- საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი **გადამზადდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მოდულში**

2020 წლის (I-II კვარტლის) პროგრესი

ამოცანა 1.1

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები - ინსტრუქციები/შაბლონები
- შესაბამისი 70 საჯარო მოხელე გადამზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის (მონიტორინგის და შეფასების) ტრენინგ მოდულში
- მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

შედეგზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით **დამტკიცდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი.** წესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს **პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელო** - მეთოდოლოგიური პაკეტი, რომელიც ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების, საჯარო მოხელეებისა და OECD/SIGMA-ს ექსპერტების პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

პოლიტიკის ციკლის ცალკეულ ეტაპებთან დაკავშირებით კონკრეტული მაგალითებისა და შაბლონების შემუშავების მიზნით, UNDP-ისა და ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით, **სახელმძღვანელოსთან ერთად მომზადდა 10 დანართი,** რომლებიც საჯარო მოხელეებს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებზე პრაქტიკული რეკომენდაციებითა და ინსტრუქციებით დაეხმარება.

საანგარიშო პერიოდში, USAID/GGI-ის მხარდაჭერით, მომზადდა **საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია**, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის საფუძველზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთიან სტანდარტს ადგენს და საჯარო კონსულტაციის პროცესს, ეტაპებსა და მეთოდებს აღწერს.

დოკუმენტი მოიცავს კონსულტაციების დაგეგმვის, აუდიტორიის განსაზღვრის, მეთოდების შერჩევის, კონსულტაციის წარმოებისა და კონსულტაციაზე უკუკავშირის უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ანგარიშგებისა და შეფასების ეტაპებს. გარდა ამისა, ინსტრუქცია აღწერს როგორც ელექტრონული, ასევე ფიზიკური კონსულტაციების ტიპებსა და ინსტრუმენტებს.

გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე, დოკუმენტის რეფორმის საბჭოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სამუშაო ჯგუფისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წარდგენა ვერ მოხერხდა. თუმცა, დაგეგმილია მისი დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა და უკუკავშირის მიღების შემდეგ, მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2019 წლის III კვარტალი.

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის რეფორმის მეორე ტალღის ერთ-ერთი მიზანია საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება და მათი განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისად გადამზადება.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა საჯარო მოხელეების პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსში გადამზადება, რომელიც 2018 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, გაერო-ს განვითარების პროგრამისა და ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო.

2018-2020 წლებში 45 სახელმწიფო უწყებიდან 288 საჯარო მოხელე გადამზადდა, მათ შორის, აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში გადამზადებული 227 საჯარო მოხელიდან **140-მა (61,7%)** მიიღო წარჩინების სერტიფიკატი.

წელი/ნაკადი:		გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა	გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა, ვინც მიიღო წარჩინების სერტიფიკატი
2018 წელი	პირველი ნაკადი	61	59
2019 წელი	მეორე ნაკადი	82	72
	მესამე ნაკადი	48	41
	მეოთხე ნაკადი	45	16
2020 წელი	მეხუთე ნაკადი	52	11
სულ 2019-2020 წლებში:		227	140 (61.7%)
სულ 2018-2020 წლებში:		288	199 (69.1%)

საანგარიშო პერიოდში სამთავრობო სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით **პირველად მომზადდა მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა.**

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, სავალდებულო გახდა მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების **ხარისხის შესაბამისობის დადგენა,** რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო (ხარისხის შესაბამისობის დადგენის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული) ახორციელებს. სამმართველო ყოველი წლის დასაწყისში წინასწარ შეიმუშავებს მთავრობაზე დასამტკიცებლად წარსადგენი პოლიტიკის დოკუმენტების ნუსხას. აღნიშნული ხელს შეუწყობს წლის განმავლობაში მთავრობის მიერ დასამტკიცებელ პოლიტიკის დოკუმენტებზე რეკომენდაციების გაცემისა და დასკვნების მომზადების განრიგის განსაზღვრას და ასევე, ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურის გაუმჯობესებას.

ამ ეტაპზე შემუშავებულია მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა. თუმცა, ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე, პირველ კვარტალში შემუშავებულ გეგმაში ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო.

ამოცანა 1.2

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- შესაბამისი 70 საჯარო მოხელე გადამზადებულია პოლიტიკის (დაგეგმვის), მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ მოდულში[18]
- ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია და ამოქმედებულია ელექტრონული სისტემა (პროგრამა)
- შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი





პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განვითარების მიზნით, აქტიურად გრძელდება მუშაობა **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე.**

საანგარიშო პერიოდში **დასრულდა** ელექტრონული სისტემის **ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტზე** მუშაობა, რომლის საფუძველზეც ამ ეტაპზე დეველოპერების მიერ **სისტემის ანალიზი მიმდინარეობს.** გლობალური პანდემიით შექმნილი

[18] 2018 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, გაერო-ს განვითარების პროგრამისა და ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით შექმნილმა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსმა გააერთიანა მონიტორინგისა და შეფასების მოდულებიც. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულება ასახულია 1.1.3 აქტივობის შედეგის ინდიკატორის პროგრესის აღწერაში.

გამოწვევების ფონზე, სისტემის შემქმნელი უწყების მიერ დეველოპერების რესურსები დისტანციური სახელმწიფო სერვისების განვითარებაზე იქნა მიმართული, რამაც შეანელა სისტემის შემუშავების პროცესი. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2019 წლის III კვარტალში უნდა შესრულებულიყო.

სამთავრობო დონეზე **პოლიტიკის დაგეგმვის ციკლის ყველა ეტაპის ერთიან ელექტრონულ სივრცეში მოქცევა** გაამარტივებს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ანგარიშგებისა და შეფასების მთლიან პროცესს. ამასთან, უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის პოლიტიკის ციკლს. სისტემის შემუშავება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან[19] ერთად, გაერო-ს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო. პროცესი დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

ამოცანა 1.3

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- საბჭოს ელ. პორტალის შემუშავების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი
- საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია
- შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია
- შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი
- ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია ელექტრონული სისტემა (პროგრამა) და გაშვებულია მოხმარებაში
- მომზადებულია ელექტრონული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო
- ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების ელექტრონულ რეჟიმში გადატანის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად.

2020 წლის II კვარტლის დასასრულისთვის განხორციელებულია სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში არსებული ელექტრონული პორტალების შესახებ პრაქტიკის კვლევა. მომზადებულია კვლევის სამუშაო ვერსია.[20]

აღსანიშნავია, რომ გეგმის თანახმად, მოცემულ საკითხზე სამუშაო ჯგუფის შექმნა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევა ელ. სისტემის კონცეფციისა და ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტის შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორი უნდა შესრულებულიყო 2019 წლის III კვარტალში.

პასუხისმგებელი უწყების განმარტებით, ვინაიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის (PDCems) შემუშავება მიმდინარეობს, რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, პირველ ეტაპზე უნდა ამოქმედდეს PDCems, ხოლო აღნიშნულის საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე კი, მოდიფიცირდეს ან უცვლელად გაგრძელდეს ანტიკორუფციული დოკუმენტების შემუშავების ელექტრონული სისტემის მომზადება.

შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, აქტივობის განხორციელება შეჩერებულია, რაც ეჭვქვეშ აყენებს სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვამდე ამოცანისა და მისი შედეგის ინდიკატორების შესრულებას.

[19] 2020 წლის 26 ივნისიდან „სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო".
[20] საჯარო მმართველობის რეფორმის სამდივნოსათვის კვლევის საბოლოო ვერსია ხელმისაწვდომი არ არის.

ამოცანა 1.4

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- გადამზადებულია საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელი 50 საჯარო მოხელე

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად **ცვლილება შევიდა** ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში და დაინერგა საკანონმდებლო აქტებზე **რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA).**[21] ამასთან, 2020 წლის 17 იანვარს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის **შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია,**[22] რომელიც ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმართვისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების პროცესში სათანადო დახმარებას გაუწევს როგორც ცენტრალური და ადგილობრივი დონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ასევე საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებს.

RIA-ს პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში დაიწყო სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეთა გადამზადება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

USAID/GGI-ის მიერ, იუსტიციის სამინისტროს ტრენინგ ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის "საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" მონაწილეობით, ჩატარდა რეგულირების ზეგავლენის სისტემის დანერგვის დისტანციური ტრენინგი, რომელშიც იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებისა და მთავრობის ადმინისტრაციის 12-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ახალი კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2020 წლის პირველ კვარტალში შეფერხდა ტრენინგების დაგეგმვა და გამართვა. თუმცა, მიუხედავად გამოწვევებისა, GGI-ის პროგრამის მხარდაჭერით, მოკლე ვადაში დაიგეგმა და დისტანციურ რეჟიმში გადამზადდა საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2020 წლის ბოლომდე ჯამში 50 საჯარო მოხელე უნდა გადამზადდეს.

გარდა ამისა, მიმდინარე ეტაპზე GGI-ის ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ამზადებს სახელმძღვანელოს, რომელიც საჯარო მოხელეებს პრაქტიკული მაგალითებით დაეხმარება კონკრეტულ სფეროებში ინიცირებული კანონპროექტების რეგულირების ზეგავლენის შეფასებაში.

შემდგომი ნაბიჯები

- **საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის** მთავრობისათვის წარდგენა და დამტკიცება
- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების **ელექტრონული სისტემის ამოქმედება**
- მთავრობის **პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმის დამტკიცება**
- ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების (საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, კონცეფცია, ბიზნეს პროცესების აღწერა) მომზადება
- **საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების მოდულში** საჯარო მოხელეთა გადამზადება.

[21] საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 17[1]
[22] საკანონმდებლო მაცნე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება N35, 2020 წლის 17 იანვარი.

რეკომენდაციები

ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა გავლენა იქონია რიგი აქტივობის შედეგის ინდიკატორების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შესრულებაზე. ვადებში ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად და რაც მთავარია, 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, **მნიშვნელოვანია:**

- რაც შეიძლება მოკლე ვადაში დასრულდეს და ამოქმედდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რათა არ შეფერხდეს აღნიშნულზე დამოკიდებული სხვა აქტივობების განხორციელება (მათ შორის, 2020 წლის ბოლომდე განხორციელდეს ელექტრონული სისტემის 100 მომხმარებლის გადამზადება);
- ინტენსიურად გაგრძელდეს RIA-ს ტრენინგები;
- მოკლე ვადებში მიღებულ იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის შემუშავების საჭიროების შესახებ.

ფინანსური ხარჯი

სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით, 2020 წლის II კვარტლის ბოლოსთვის განსახორციელებელ აქტივობათა შესასრულებლად განსაზღვრული იყო **95 920** ლარის დონორული დახმარება. აქტივობების ნაწილი საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა გათვალისწინებულზე მეტი - **134 173** ლარი. აღნიშნული სხვაობა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განსაზღვრულზე (8 720 ლარი) მეტი თანხა (44 112 ლარი) დაიხარჯა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსში საჯარო მოხელეთა გადამზადებისათვის, რაც ერთი მხრივ, განპირობებული იყო გადასამზადებელ საჯარო მოხელეთა რაოდენობის თითქმის 5-ჯერ და მეორე მხრივ, ტრენინგ კურსის მოდულების რაოდენობის ზრდით. გარდა ამისა, პოლიტიკის დაგეგმვის განახლებული მეთოდოლოგიური პაკეტის ბეჭდვისთვის გათვალისწინებულზე (7200 ლარი) თითქმის ორჯერ მეტი (14 250 ლარი) დაიხარჯა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედებისათვის 1.2.3.1 აქტივობის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული თანხა (27 500 ლარი) არ არის ათვისებული (დახარჯულია მხოლოდ 1 803 ლარი), რადგან სისტემა ჯერ კიდევ შემუშავების ეტაპზეა.



ფინანსური ხარჯი - პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

*რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით** საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების **რეიტინგი** და **სტატუსი** შემდეგია:*

ამოცანა 1.1. პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.1.1.3 მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები - ინსტრუქციები/შაბლონები	ნაწილობრივ შესრულდა[23]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
1.1.3.1 შესაბამისი 70 საჯარო მოხელე გადამზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის (მონიტორინგის და შეფასების) ტრენინგ მოდულში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.1.6.1 მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	ნაწილობრივ შესრულდა[24]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[23] დარჩენილია საჯარო კონსულტაციების დანართის მთავრობაზე დასამტკიცებლად წარდგენა.
[24] დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში უნდა აისახოს პანდემიით გამოწვეული ცვლილებები.

ამოცანა 1.2. პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.2.2.1 შესაბამისი 70 საჯარო მოხელე გადამზადებულია პოლიტიკის (დაგეგმვის), მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ მოდულში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.2.3.1 შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.2.3.2 ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია და ამოქმედებულია ელექტრონული სისტემა (პროგრამა)	ნაწილობრივ შესრულდა[25]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 1.3. ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება[26]

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.3.1.1 ანტიკორუფციული საბჭოს ელ. პორტალის შემუშავების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.2 საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა[27]	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.3 შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.4 შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.1 ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია ელექტრონული სისტემა (პროგრამა) და გაშვებულია მოხმარებაში	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.2 მომზადებულია ელექტრონული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.3 ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია

ამოცანა 1.4. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.4.3.1 გადამზადებულია საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელი 50 საჯარო მოხელე	ნაწილობრივ შესრულდა[28]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[25] სისტემის ამოქმედება დაგეგმილია 2021 წელს.
[26] რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, პასუხისმგებელი უწყება შეაფასებს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემას და შემდეგ შეაფასებს დამოუკიდებელი სისტემის შექმნის აუცილებლობას.
[27] კვლევის საბოლოო ვერსია სამდივნოსთვის არ არის ხელმისაწვდომი.
[28] მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის II კვარტლის დასასრულისთვის აქტივობის შედეგის ინდიკატორი „ნაწილობრივ შესრულებულად“ შეფასდა, განხორციელების დინამიკა პოზიტიურია, რადგან 50 საჯარო მოხელე 2020 წლის IV კვარტლის ბოლომდე უნდა გადამზადდეს.

II საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

2 ამოცანა → **6** ამოცანის შედეგის ინდიკატორი → **9** აქტივობა → **19** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2020 წელი, II კვარტალი ▶▶▶ **4 აქტივობის შედეგის ინდიკატორი** ◀◀◀

საჯარო მმართველობის რეფორმის საჯარო სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება მიზნად ისახავს ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას, რომელიც დამსახურების პრინციპზე იქნება დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას.

აღნიშნული მიმართულებით, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 1 ამოცანის 4 აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულების პროგრესის შესახებ, 2020 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით.

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების სტატისტიკა 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით

რეიტინგი



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი



- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ელექტრონულ პორტალზე ethics.gov.ge საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი
- მომზადდა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის N315 დადგენილებით დამტკიცდა

2020 წლის (I-II კვარტლის) პროგრესი

ამოცანა 2.1

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- ბიუროს მიერ განხილული და გაანალიზებულია მიღებული პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები; ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ხარვეზები
- ელექტრონული სასწავლო კურსი ფუნქციონირებს საპილოტე რეჟიმში
- გამართულია სულ მცირე 3 საჯარო განხილვა კანონში და კანონქვემდებარე აქტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ
- კანონის პროექტი წარდგენილია მთავრობისთვის



პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულების მოხელეთა **პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმისა და ანგარიშის ფორმა.**

დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში შემავალმა ყველა სამინისტრომ საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინა პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმები, რომელთა

- **სამართალწარმოება**
- **ადამიანური რესურსების მართვა**
- **ეფექტური კომუნიკაცია**
- **მენეჯმენტი**
- **სტრატეგიული დაგეგმვა**
- **გუნდის მართვა**

პროფესიული განვითარების გეგმების ანალიზისა და მათში ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, იგეგმება კვლევა, რომლის **შედეგები 2020 წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.** აღნიშნული კვლევის განხორციელებაში საჯარო სამსახურის ბიუროს პარტნიორია USAID/GGI.

საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის წახალისების, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, USAID/GGI-ის მხარდაჭერით, ელექტრონულ პლატფორმაზე **ethics.gov.ge** შემუშავდა სპეციალური სასწავლო კურსი.

საანგარიშო პერიოდში ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებდა. მონიტორინგის საფუძველზე **საბაზისო და დამატებითი პროგრამა სულ 1778 მოხელისთვის დაიგეგმა.** აქედან, **227 მოხელისათვის საბაზისო პროგრამა** („პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ და „მოხელის მენეჯერული უნარები“), ხოლო **1551 მოხელისთვის დამატებითი სასწავლო პროგრამა განისაზღვრა.**

დამატებითი პროგრამიდან ყველაზე ხშირად დაგეგმილი პროფესიული განვითარების პროგრამა ეხება შემდეგ თემატიკას:

- **თანამშრომლის შეფასება**
- **ეფექტიანი მომსახურება**
- **დროის მართვა**
- **პროექტების მართვა**
- **პროფესიული კომპეტენციები**

ეტაპზე პორტალზე მიმდინარეობს კურსის შინაარსობრივი ნაწილის სრულყოფა და ტექსტობრივი მასალების გამართვა, ასევე, თემატური ვიდეო რგოლებისა და კომიქსების განთავსება. სატესტო რეჟიმში ხორციელდება კურსის ტექნიკური მახასიათებლების შემოწმება, რის შემდეგაც მოხელეებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ აღნიშნული კურსი.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ მოამზადა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც 2020 წლის 21 მაისს საქართველოს მთავრობის **N315 დადგენილებით**[29] დამტკიცდა. აღნიშნული ლოგიკური გაგრძელებაა უწყების მიერ 2019 წლის განმავლობაში გატარებული მთელი რიგი ღონისძიებების, კერძოდ:

- 2019 წლის 5 ნოემბერს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის N1023/სა ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის საკითხებთან დაკავშირებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე აქტების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებ(ებ)ის პროექტ(ებ)ის მომზადება.

[29] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მაისის N315 დადგენილება.

- ბიუროს ორგანიზებითა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, 2019 წელს ჩატარდა **სამი შიდა შეხვედრა**, რომელზეც განიხილეს მობილობა, რეორგანიზაციის პროცესის ეტაპები და მის შედეგებთან დაკავშირებული გამოწვევები. შიდა განხილვებში მონაწილეობა მიიღო საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის 60-მდე წარმომადგენელმა.
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, გადაწყდა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება, თუმცა შეხვედრებზე გამოიკვეთა დამატებითი კონსულტაციების გამართვის საჭიროება. შესაბამისად, ცვლილების პროექტი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვერ წარედგინა მთავრობას და მისი შესრულების ვადად 2020 წლის II კვარტალი განისაზღვრა.

შემდგომი ნაბიჯები

- პროფესიული განვითარების გეგმების ანალიზისა და მათში ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით კვლევის ჩატარება, რომლის შედეგები 2020 წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.

ფინანსური ხარჯი

2020 წლის II კვარტლით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება 49 200 ლარის ოდენობით, რომლის ათვისებაც სრულად მოხდა საანგარიშო პერიოდში. არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ვინაიდან გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

*რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, **საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით** 2020 წლის II კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა ასეთია:*

ამოცანა 2.1: დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
2.1.1.1 ბიუროს მიერ განხილული და გაანალიზებულია მიღებული პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები; ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ხარვეზები	ნაწილობრივ შესრულდა[30]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
2.1.3.1 ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი ფუნქციონირებს საპილოტე რეჟიმში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.6.3 გამართულია სულ მცირე 3 საჯარო განხილვა კანონში და კანონ-ქვემდებარე აქტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ	არ შესრულდა[31]	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.6.4 კანონის პროექტი წარდგენილია მთავრობისთვის	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

[30] ხარვეზების გამოვლენის მიზნით, მიმდინარეობს კვლევა, რომლის შედეგები 2020 წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.
[31] გამართულია 3 შიდა შეხვედრა მხოლოდ საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

III ანგარიშვალდებულება

5 ამოცანა → **5** ამოცანის შედეგის ინდიკატორი → **14** აქტივობა → **19** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2020 წელი, II კვარტალი ▶▶▶ 10 აქტივობის შედეგის ინდიკატორი ◀◀◀

ანგარიშვალდებული მმართველობა საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედია და მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსტიტუტების კეთილსინდისიერებისა და მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდას.

აღნიშნული მიმართულებით, 2020 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 4 ამოცანის 10 აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულებას.

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების სტატისტიკა 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით

რეიტინგი



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი



- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ღია მონაცემების პორტალზე data.gov.ge გამოქვეყნებულია 719 მონაცემთა ცხრილი XML და CSV ფორმატში
- შეიქმნა ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდი
- შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია

2020 წლის (I-II კვარტლის) პროგრესი

ამოცანა 3.1

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის შედეგად;
- სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტი შემუშავებულია;
- სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია.

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიურომ სსიპ-ების ინსტიტუციური მოწყობის ახალი ხედვის ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. 2019 წელს განხორციელდა **სსიპ-ების ფუნქციური ანალიზის პირველი ეტაპი** იმ სსიპ-ების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის წარმოადგენენ საჯარო სამსახურს.[32] ბიურომ სსიპ-ების კატეგორიზაციისთვის შეიმუშავა კრიტერიუმების მატრიცა. ასევე, მომზადდა რეკომენდაციები მათზე “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის გავრცელების ფარგლებთან დაკავშირებით.[33]

2019 წელს კანონპროექტის შემუშავების პროცესში გაიმართა 3 შიდა განხილვა, რომელსაც სულ 40-მდე მონაწილე დაესწრო. განხილვებში აქტიურად იყვნენ ჩართულები OECD/SIGMA-ს ექსპერტები, მინისტრის მოადგილეები და ცენტრალური საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები. საჯარო სამსახურის ბიურომ მონაწილეებს გააცნო შემუშავებული კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც განხორციელდა სსიპ-ების კატეგორიზაცია და მომზადდა კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

სსიპ-ების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის პირველ ეტაპზე დაყრდნობით, **შემუშავდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი,** რომელიც:

- ითვალისწინებს სსიპ-ების კატეგორიებად დაყოფას,
- განსაზღვრავს მათი შექმნის საფუძვლებს და
- მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება/არგავრცელების საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, სამივე აქტივობის შედეგის ინდიკატორის განხორციელება 2019 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, შიდა განხილვების ფარგლებში მიღებული კომენტარების საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სსიპ-ების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მათ შორის, სსიპ-ების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა. ამჟამად საჯარო სამსახურის ბიურო მუშაობს **სსიპ-ების მეორადი ფუნქციური ანალიზის მეთოდოლოგიის** შემუშავებაზე, რასაც უნდა მოყვეს თავად ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის შეუფერხებლად ჩატარება.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე **დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.** სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული **საჯარო კონსულტაციები კანონპროექტის დოკუმენტის მეტად დახვეწის შემდეგ დაიგეგმება.**

ამოცანა 3.2

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო (ყოფილი სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო)

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- ღია მონაცემების პორტალი - data.gov.ge განახლებულია

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

[32] სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ.: 5.
[33] სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ.: 5.

2019 წლის ბოლოსთვის სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ **შეიმუშავა ღია მონაცემების პორტალის ახალი ფუნქციონალის აღწერის დოკუმენტი, რაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.** 2020 წლის 21 იანვარს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) დახმარებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ბიზნესისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად DATA.GOV.GE-ის საჭიროებების, გამოწვევებისა და განვითარების გეგმების განხილვა. შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ღია მონაცემების პორტალის განახლების პერსპექტივებისა და ახალი ფუნქციონალის შესახებ.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორის განხორციელების ვადად 2019 წლის IV კვარტალი იყო განსაზღვრული. თუმცა, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მწირი შიდა რესურსისა და პორტალის განახლებისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე განხორციელების ვადები შეიცვალა და საჭირო გახდა დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება. 2019 წელს აქტივობის ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მიზნით მოლაპარაკებები დაიწყო დონორ ორგანიზაციებთან. უწყება თანამშრომლობს UNDP-სთან, რომლის მხარდაჭერითაც მიმდინარეობს პორტალის განახლებისთვის საჭირო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და სსიპ - „სმართ ლოჯიქის" (SMART LOGIC) რეორგანიზაციისა და შერწყმის შედეგად **შეიქმნა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო.**[34] როგორც სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უფლებამონაცვლე, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო, UNDP-ის მხარდაჭერით, აგრძელებს საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. საანგარიშო პერიოდში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით, ღია მონაცემების პორტალის ახალი ფუნქციონალის აღწერის დოკუმენტი კიდევ ერთხელ გადაიხედა და მასში ცვლილები შევიდა. თუმცა, კორონავირუსის პანდემიისა და რეორგანიზაციის პროცესის გამო, დაგეგმილი სამუშაოები შეყოვნდა და 2020 წლის მეორე ნახევარისთვის გადაიდო. უწყების ინფორმაციით, პორტალის განახლება 2020 წლის ბოლოს დასრულდება. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ღია მონაცემების პორტალზე ჯამში გამოქვეყნებულია **719 მონაცემთა ცხრილი XML** და **CSV** ფორმატში, **30 საჯარო დაწესებულების მიერ.**

ამოცანა 3.4

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ.

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია; სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტი სრულად ეთმობა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას;
- ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საკონსულტაციო შეხვედრები გამართულია ყველა სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან;
- ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გამართულია საჯარო კონსულტაციები სულ მცირე საქართველოს 7 რეგიონში;
- OGP საქართველოს ვებ-გვერდი შექმნილია





ქვეყანაში ღია მმართველობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების შესახებ თანმიმდევრული და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა და ღია მმართველობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID/GGI-ის მხარდაჭერით, 2019 წელს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (საჯარო მმართველობის სამმართველო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია) მოამზადა **ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია,** რომელიც **3 სამიზნე აუდიტორიას მიემართება:** ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დასაქმებული საჯარო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მოქალაქეები. სამოქმედო გეგმით აღნიშნული აქტივობა 2019 წლის III კვარტალში უნდა დასრულებულიყო, თუმცა დოკუმენტის

[34] საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ, 12 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია აქ.

დახვეწის მიზნით მასზე მუშაობა გაგრძელდა საანგარიშო პერიოდშიც და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, შეიცვალა დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მიღებისთვის დაწესებული ვადები - კომუნიკაციის სტრატეგიის მიღება 2020 წლის ბოლოს იგეგმება.

2019 წლის 27 დეკემბერს გამართულ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის შეხვედრაზე ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ წარადგინა **OGP საქართველოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების კალენდარი,** რომელიც ფორუმმა მოიწონა. კალენდრის შესაბამისად, 2020 წლის დასაწყისში ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, საჯარო უწყებებისა და ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივების მიღება გამოაცხადა. ადგილობრივმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს 30, ხოლო სახელმწიფო უწყებებმა - 24 ინიციატივა. აღსანიშნავია, რომ ინიციატივების მიღებისა და განხილვის ეტაპი დაემთხვა ახალი კორონავირუსის პანდემიასა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, რამაც პროცესის შეფერხება გამოიწვია.

შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საერთაშორისო სამდივნოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, **ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი ონლაინ რეჟიმში გადაიტანა,** რაც ფორუმთან შეთანხმდა. შედეგად, საანგარიშო პერიოდში, სამდივნო საჯარო უწყებებს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით საჭიროებისამებრ უწევდა მხარდაჭერას. ონლაინ რეჟიმში წარიმართა შემოსული ინიციატივების პირველადი დამუშავებაც. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ინიციატივების ნაწილზე სახელმწიფო უწყებების პოზიციები ფორუმის წევრებს წერილობით ეცნობათ. წინამდებარე ანგარიშის მომზადების ეტაპისთვის **მიმდინარეობს ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრების ჩასატარებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები.**

აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, OGP-ის მმართველმა კომიტეტმა სამოქმედო გეგმების წარდგენის ვადის გადაწევის გადაწყვეტილება მიიღო - საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის წარდგენის საშუალება **2020 წლის ბოლომდე** აქვს. OGP-ის საერთაშორისო სამდივნო ქვეყნებს ასევე აძლევს შესაძლებლობას გეგმის წარდგენა 2021 წლისთვის გადაიტანონ.

ამ ამოცანის 3.4.2.2. აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულება - საჯარო კონსულტაციების ჩატარება საქართველოს სულ მცირე 7 რეგიონში, დამოკიდებულია ღია მმართველობა საქართველოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებასა და ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე.

USAID/GGI-ის მხარდაჭერით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ მოამზადა **ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდი, რომელიც საანგარიშო პერიოდში ამოქმედდა.** სამოქმედო გეგმის მიხედვით აქტივობის დასრულების ვადად 2019 წლის IV კვარტალი იყო განსაზღვრული, თუმცა დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა ვებგვერდის დეტალური აღწერის მომზადებასა და დეველოპერული კომპანიის შერჩევას.



2020 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა ვებგვერდის ფუნქციონალი და აღნიშნულის დახვეწის მიზნით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ გააცნო ვებგვერდის ფუნქციონალის კონცეფცია და სამუშაო ვერსია. სამდივნომ მოსაზრებებისთვის ვებგვერდის სამუშაო ვერსია OGP-ის საერთაშორისო სამდივნოსაც წარუდგინა. ფორუმთან და საერთაშორისო სამდივნოსთან ვებგვერდის ფუნქციონალის დეტალური განხილვის შედეგად, სამდივნომ მიღებული კომენტარების დიდი ნაწილი ვებგვერდის საბოლოო ვერსიაში გაითვალისწინა და ახალი ელემენტები დაამატა. ამჟამად ვებგვერდი სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს, რათა, არსებობის შემთხვევაში, აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზები. სატესტო რეჟიმი 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.

ამოცანა 3.5

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში.

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი პარლამენტისთვის წარდგენილია;
- ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაციის მიზნით საინფორმაციო სახელმძღვანელო შემუშავებულია.

რეიტინგი

2

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

2

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

ანგარიშვალდებულების ფარგლებში, მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, "ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" კანონის პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისა და მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გადაეცა 2019 წლის 4 ოქტომბერს, მთავრობის №484 დადგენილებით.[35] მთავრობის ადმინისტრაციამ დაიწყო და აქტიურად განაგრძობს კანონპროექტის გაცნობასა და დამუშავებას. სამოქმედო გეგმის მიხედვით აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულება 2019 წლის IV კვარტალში იყო დაგეგმილი. ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილმა სიტუაციამ პროცესი შეაფერხა. თუმცა, უწყება მუშაობს შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის მიმართულებით.

აღნიშნული ამოცანის 3.5.2 აქტივობის შედეგის ინდიკატორი - ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაციის მიზნით საინფორმაციო სახელმძღვანელოს შემუშავება, დამოკიდებულია "ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" კანონის პროექტის ძალაში შესვლაზე.

შემდგომი ნაბიჯები

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება და საჯარო კონსულტაციების გამართვა
- ღია მონაცემების პორტალის - data.gov.ge განახლება და პორტალზე ახალი ღია მონაცემების დამატება
- ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდის პრეზენტაცია
- ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება
- ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით სამუშაო პროცესის დაგეგმვა და საჭიროების შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების კოორდინაცია ექსპერტული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები

საანგარიშო პერიოდში შეფერხებათა უმრავლესობა გამოიწვია ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, აუცილებელია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავება
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ღია მმართველობის ახალი სამოქმედო გეგმის მომზადება და საჯარო კონსულტაციების გამართვა.
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების განხორციელების პროცესში სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართვა, ვინაიდან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებას სწორედ გარე აქტორების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს

[35] საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის №484 დადგენილება.

ფინანსური ხარჯი

ანგარიშვალდებულების მიმართულებით 2020 წლის I-II კვარტალში დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესასრულებლად სამოქმედო გეგმის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ არის მითითებული ფინანსური ხარჯი, ვინაიდან აქტივობების განხორციელებისთვის გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული რესურსი და დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. სამოქმედო გეგმაში განმარტებულია, რომ ამ უკანასკნელის მოცულობა უშუალოდ აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე დაანგარიშდება.

დონორი ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მიზნით დაიხარჯა **95 188.79 ლარი.** აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტი შემუშავების მიზნით (3.1.2 აქტივობა) ადგილობრივი ექსპერტის დაქირავებისთვის გამოყოფილი, დეფიციტად განსაზღვრული თანხა - **18 000 ლარი** დაუხარჯავი დარჩა, რადგან აღნიშნული სერვისი 2019 წელს უსასყიდლოდ განხორციელდა.



ანგარიშვალდებულების მიმართულებით 2020 წლის II კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა

ამოცანა 3.1: ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.1.1.1 სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის შედეგად	ნაწილობრივ შესრულდა[36]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.1.2.1 სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტი შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[37]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.1.2.2 სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია	არ შესრულდა[38]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 3.2: ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.2.1.1 ღია მონაცემების პორტალი - data.gov.ge განახლებულია	ნაწილობრივ შესრულდა[39]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 3.4: საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.4.1.1 ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია; სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტი სრულად ეთმობა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას	ნაწილობრივ შესრულდა[40]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.4.2.1 ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საკონსულტაციო შეხვედრები გამართულია ყველა სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან	ნაწილობრივ შესრულდა[41]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[36] იგეგმება სსიპ-ების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის მეორე ეტაპი.
[37] შემუშავებულია სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის სამუშაო ვერსია, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[38] გამართულია 3 შიდა შეხვედრა მხოლოდ საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად აუცილებელია სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის საბოლოო სახით შემუშავება.
[39] შემუშავებულია ღია მონაცემების პორტალის ფუნქციონალი, თუმცა პორტალი განახლებული არ არის.
[40] შემუშავებულია ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[41] ახალი კორონავირუსის პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, კონსულტაციები მიმდინარეობს ონლაინ სამუშაო რეჟიმში.

3.4.2.2. ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გამართულია საჯარო კონსულტაციები სულ მცირე საქართველოს 7 რეგიონში	არ შესრულდა[42]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
3.4.3.1 OGP საქართველოს ვებ-გვერდი შექმნილია	სრულად შესრულდა[43]	განხორციელების პროცესი დასრულებულია

ამოცანა 3.5: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**შესრულების რეიტინგი:**	**განხორციელების სტატუსი:**
3.5.1.1 ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი პარლამენტისთვის წარდგენილია	არ შესრულდა[44]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
3.5.2.1 ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაციის მიზნით საინფორმაციო სახელმძღვანელო შემუშავებულია	არ შესრულდა[45]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

[42] საჯარო კონსულტაციები დაიგეგმება მას შემდეგ, რაც მომზადდება ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, კონსულტაციები ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.
[43] ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ, USAID/GGI-ის მხარდაჭერით დაასრულა ვებგვერდის შექმნისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება. ვებგვერდის პრეზენტაცია 2020 წლის სექტემბერში იგეგმება.
[44] ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტის საბოლოო ვერსია არ შემუშავებულა, შესაბამისად, პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი არ არის.
[45] აქტივობის განხორციელებისთვის აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის დამტკიცება.

IV სახელმწიფო სერვისების მიწოდება

7 ამოცანა → **8** ამოცანის შედეგის ინდიკატორი → **28** აქტივობა → **35** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2020 წელი, II კვარტალი ▶▶▶ **23 აქტივობის შედეგის ინდიკატორი** ◀◀◀

სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესება საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად, ფუნდამენტურია სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, დამტკიცება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

აღნიშნული მიმართულებით, 2020 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 6 ამოცანის 23 აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულებას.

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების სტატისტიკა 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით

რეიტინგი



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი



- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მნიშვნელოვანი მიღწევები:

- შემუშავდა სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია
- შემუშავდა საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) შესახებ ტრენინგ-მოდული, რომელიც დაინერგა იუსტიციის სასწავლო ცენტრის კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის
- ელექტრონულ პორტალ My.gov.ge-ზე სერვისების რაოდენობა 646-მდე გაიზარდა
- საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადდა კიბერჰიგიენის სასწავლო მასალა, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა.

2020 წლის (I-II კვარტლის) პროგრესი

ამოცანა 4.1

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტი განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან და წარდგენილია მთავრობაზე განსახილველად
- სერვისის დიზაინის გზამკვლევი და ინსტრუქცია შემუშავებულია
- ჩატარებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციების საჯარო პრეზენტაცია
- სერვისების დიზაინის ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის
- სერვისების დიზაინის ტრენინგი გავლილი აქვს ყველა სერვისის მიმწოდებელი უწყების სულ მცირე 3 შესაბამის თანამშრომელს

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესება. აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად, ფუნდამენტურია სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, დამტკიცება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

2019 წელს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მომზადდა **სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგია.** დოკუმენტი სახელმწიფო უწყებებისა და რეფორმაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდა. საანგარიშო პერიოდში სტრატეგიის დოკუმენტი განახლდა საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების შესაბამისად, რის შედეგადაც, დოკუმენტი თანხვედრაშია ამავე დადგენილებით განსაზღვრულ "პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესთან".

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და მისი მთავრობისთვის წარდგენა, სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლის III კვარტლისთვის იყო გათვალისწინებული. მონიტორინგის ეტაპზე **დოკუმენტი მთავრობისთვის წარდგენილი არ არის,** შესაბამისად, განხორციელება მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინასწარ განსაზღვრულ ვადებს.

რეფორმის სახელმწიფო სერვისების მიწოდების ქვე-თავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე სერვისების შექმნისა და განვითარების პროცესში **მომხმარებელთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება.**

სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციების მომზადება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სერვისის შექმნის პროცესში მომხმარებლის ჩართულობისათვის საჭირო მიდგომები და მეთოდოლოგიები, გეგმის მიხედვით, 2019 წლის IV კვარტლისთვის იყო გათვალისწინებული.

სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციის სრული დოკუმენტაციის შესამუშავებლად დაგეგმილი იყო საერთაშორისო ექსპერტის დაკონტრაქტება, რომელიც შეიმუშავებდა ინსტრუქციისა და გზამკვლევის სრულ დოკუმენტაციას და უზრუნველყოფდა მათ თანხვედრას საერთაშორისო პრაქტიკასთან.

მიუხედავად იმისა, რომ დროში გაიწელა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის მოძიება, 2019 წლის ბოლოსთვის უკვე დაკონტრაქტებული იყო საერთაშორისო ექსპერტი და დაგეგმილი იყო მისი ვიზიტი საქართველოში, რათა ადგილზე შეხვედროდა რეფორმაში ჩართულ მხარეებს და შეესწავლა მათი მოლოდინები სერვისების დიზაინის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით.

აღნიშნული ვიზიტი გაუქმდა Covid 19-ით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობისა და საზღვრების ჩაკეტვის გამო. შესაბამისად, გარკვეული შეფერხების შემდეგ, პროცესი გადავიდა ონლაინ რეჟიმში და შესაბამისი სამუშაოები დისტანციურად ჩატარდა. **საანგარიშო პერიოდში მომზადდა სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია.** მას შემდეგ, რაც შემუშავდება სერვისების დიზაინის სახელმძღვანელო დოკუმენტები, დაგეგმილია საჯარო პრეზენტაცია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

სერვისის დიზაინის სახელმძღვანელოს მიდგომების პრაქტიკაში დასანერგად ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ტრენინგ მოდულის მომზადება და ამ მიმართულებით მომუშავე საჯარო მოხელეთა გადამზადება, რაც **დამოკიდებულია სწორედ სერვისების დიზაინის სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაზე.**

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყების მიერ ითარგმნა და სახელმძღვანელოსთან ადაპტირდა სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული ტრენინგ-მოდულის სტანდარტის დოკუმენტი, რომელიც მიეწოდა საერთაშორისო ექსპერტებს. ამავდროულად, მონიტორინგის ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ტრენერთა ტრენინგის (ე.წ. ToT) ორგანიზების, შესაბამისი ტრენერების მოძიებისა და ტრენინგ მოდულის სასწავლო ცენტრის კურიკულუმში ინტეგრირების მიზნით.

2020 წლის მეორე ნახევარში ტრენერების გადამზადების მიზნით, იგეგმება საერთაშორისო ექსპერტის საქართველოში ვიზიტი. გეგმის მიხედვით, გადამზადებული ტრენერები თავად შეძლებენ ტრენინგების ჩატარებას, როგორც სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთათვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ამოცანა 4.2

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია მთავრობისთვის
- სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო და პროცედურები შექმნილია
- სერვისების მიწოდების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის
- სერვისების მიწოდების ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მომხმარებელზე ორიენტირებული, სწრაფი, ხარისხიანი და სანდო სახელმწიფო სერვისების დროულად და ინკლუზიურად შექმნის მიზნით, რეფორმის ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო სერვისებთან დაკავშირებული საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს განახლება და მისი დახვეწა.

მონიტორინგის ეტაპზე დასრულებულია სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავების პროცესი და **მომზადებულია დოკუმენტის საბოლოო ვერსია.** დოკუმენტი საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინებით მომზადდა.

მთავრობის მიერ დოკუმენტის დამტკიცების პროცესი შეფერხდა პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო. ხაზგასასმელია, რომ გეგმის მიხედვით, ცვლილებათა პაკეტის წარდგენა გათვალისწინებული იყო 2019 წლის IV კვარტლისთვის, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დროულად ვერ მოძიების გამო, განხორციელების პროცესი შეფერხდა.

საანგარიშო პერიოდში ასევე **შექმნილია სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო დოკუმენტის პირველადი ვერსია,** მიმდინარეობს მასზე მუშაობა ექსპერტისა და სამუშაო ჯგუფის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ თავად სახელმძღვანელო კონცეპტუალურად ეყრდნობა სერვისების დიზაინის სახელმძღვანელოს (რომელიც 2020 წ. II კვარტლის მდგომარეობით ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია), ამ დოკუმენტებს შორის შესაძლო გადაფარვების თავიდან აცილების მიზნით, სერვისების მიწოდების სახელმძღვანელოზე მუშაობის დასრულება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც საბოლოო სახეს მიიღებს სერვისების დიზაინის სახელმძღვანელო.

სერვისების მიწოდების ტრენინგ-მოდულის შემუშავება აგრეთვე დაიწყება სერვისების მიწოდების სახელმძღვანელოს მომზადების შემდგომ. ტრენინგების ჩატარება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც შეიქმნება და დაინერგება სერვისების მიწოდების ტრენინგ მოდული და ტრენერები გადამზადდებიან სერვისების მიწოდების მიდგომებსა და მეთოდოლოგიებში.

ამოცანა 4.3

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- სერვისის ინდექსის კონცეფცია და მეთოდოლოგია შემუშავებულია
- მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის
- მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი შემუშავებულია
- მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს

- მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა ჩატარებულია 1 სერვისის მიმწოდებელ სახელმწიფო უწყებაში

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

- CAF-ის შესახებ შექმნილია მოდული, რომელიც გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მონიტორინგის ეტაპზე **შემუშავებულია სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა.** აღსანიშნავია, რომ 2019 წლის წლიური მონიტორინგის ეტაპზე მომზადდა სერვისების ინდექსის დოკუმენტი, რომელიც შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის სახელმწიფო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის იქნა წარდგენილი. მიღებული უკუკავშირის შედეგად კი **დოკუმენტის საბოლოო ვერსია ჩამოყალიბდა.** ამასთანავე, პარალელურად მომზადდა საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევის შემაჯამებელი ანგარიში, რაც საფუძვლად დაედო სერვისების ინდექსის ქართული მოდელის შემუშავებას. დოკუმენტების შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სერვისების სამუშაო ჯგუფი.

როგორც ეს რეფორმის განხორციელების მონიტორინგის 2019 წლის წლიურ ანგარიშშიც აღინიშნა, **კმაყოფილების კვლევის სტანდარტის სახელმძღვანელოს** მომზადების სამუშაოები დაგვიანებით წარიმართა, ვინაიდან ვადებში გაჭიანურდა შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის მოძიება. თუმცა, ეს პროცესი უმეტესწილად დასრულდა საანგარიშო პერიოდში და ამ ეტაპზე მზადდება დოკუმენტის საბოლოო ვერსია. სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში ერთობლივი სამუშაო გასწიეს სერვისების მიწოდების სხვადასხვა კომპონენტის ექსპერტებმა, რათა მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიები და სახელმძღვანელოები ლოგიკურ ბმაში ყოფილიყო კმაყოფილების კვლევის სტანდარტის სახელმძღვანელოსთან.

რაც შეეხება **მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგ მოდულის** საბოლოო ვერსიის შემუშავებას, იგი **დამოკიდებულია კმაყოფილების კვლევის სტანდარტის სახელმძღვანელოს დასრულებაზე,** შესაბამისად, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი ინტეგრირება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში.

მონიტორინგის ეტაპზე მიმდინარეობს კომუნიკაცია და შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ტრენინგ მოდულის მათ ცენტრში დანერგვისა და ტრენერთა გადამზადების (ე.წ. ToT) მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება კმაყოფილების კვლევის სტანდარტის სახელმძღვანელოს დანერგვისა და შესაბამის ტრენინგში გადამზადების თანმდევი პროცესია, **მონიტორინგის ეტაპზე კვლევა არ ჩატარებულა.**

აღსანიშნავია, რომ, მონიტორინგის ეტაპზე **საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) შესახებ ტრენინგ-მოდულისა და შესაბამისი მასალების შემუშავება სრულად დასრულებულია.** განახლდა როგორც თავად CAF-ის სახელმძღვანელო, ასევე შესაბამისი ტრენინგ-მოდულის დოკუმენტი. ამგვარად, იგი დაინერგა იუსტიციის სასწავლო ცენტრის კურიკულუმში და **ტრენინგები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.**

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში გაიმართა CAF-ის შესახებ ტრენერთა-ტრენინგი (ე.წ. ToT), რომლის ფარგლებში გადამზადდნენ სასწავლო ცენტრის მოწვეული ტრენერები, მათ შორის ონლაინ რეჟიმში **გადამზადდა სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი 4 უწყების 12 თანამშრომელი.**

ამოცანა 4.4

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია განხილულია სერვისის მიმწოდებელ ყველა უწყებასთან და დადასტურებულია მათ მიერ
- ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდული ინტეგრირებულია სასწავლო ცენტრის კურიკულუმში და ტრენინგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის
- ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

საანგარიშო პერიოდში ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი რეფორმის საბჭო სერვისების მიწოდების კომპონენტის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი უწყებები, რომელთა უკუკავშირზე დაყრდნობითაც მზადდება ასევე შესაბამისი მეთოდოლოგიის დოკუმენტი. **დასრულებულია საერთაშორისო ექსპერტის მიერ საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევის დოკუმენტი,** რომელიც საფუძვლად დაედო სერვისების განფასების ქართული მოდელის შემუშავებას.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულება დაგეგმილი იყო 2019 წლის IV კვარტლისთვის, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ დროულად ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის მოძიება, შესრულების ვადებმა გადაიწია. გარდა ამისა, პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, პარტნიორ უწყებებთან კომუნიკაცია გართულდა და შედეგად, დაგვიანდა განფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება.

ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდულის შექმნაზე მუშაობა დაიწყება ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დასრულებისთანავე. აღნიშნული ტრენინგ-მოდულით სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გადამზადება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება სახელმწიფო სერვისების განფასების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და მომზადდება შესაბამისი ტრენინგ-მოდული.

ამოცანა 4.5

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილება მომზადებულია და წარდგენილია მთავრობისთვის
- უკუკავშირის მექანიზმები ინტეგრირებულია My.gov.ge-ზე
- my.gov.ge-ზე განთავსებულია ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალა

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

სერვისების მიწოდებისა და ელ-მომსახურების სფეროში ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით იდენტიფიცირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ამ პრობლემის სამართლებრივ გადაწყვეტას ემსახურება სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ელექტრონული მმართველობისა და ელ. სერვისების მხარდამჭერი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს მთავრობისთვის წარსადგენი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება.

რეფორმის სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულების ერთ-ერთი პრიორიტეტია ელექტრონულ პორტალ my.gov.ge-ს გაძლიერება, მისი მეშვეობით სახელმწიფო და კერძო ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და პორტალის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც ასევე პანდემიის პერიოდს დაემთხვა, კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა სახლიდან/ოფისიდან გაუსვლელად მომსახურების მიღება. შედეგად, სააგენტომ დამატებითი გამოცდილება შეიძინა მოქალაქეებისათვის/იურიდიული პირებისათვის ელექტრონული სერვისების მიწოდებისას უკუკავშირის მექანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ხაზგასასმელია, რომ პანდემიის პირობებში სააგენტოს რესურსები სხვადასხვა მიმართულებით გადანაწილდა, რამაც ხელი შეუშალა პორტალ My.gov.ge-ზე უკუკავშირის მექანიზმების სრულყოფილად ინტეგრირებას, თუმცა, ამავე პერიოდში პროგრამულად შემუშავდა და მოქალაქეებისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდების ჭრილში დამატებით გაფართოვდა ლოგირების ფუნქციონალი, რაც კომპლექსური საკითხების მოგვარებისას მომხმარებლისგან დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

პანდემიისა და შესაბამისად, შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ მხოლოდ შემდეგ 2 ელექტრონულ სერვისზე მუშაობა შეძლო: **„მიმართე ბიზნესომბუდსმენს“** და **„თანამშრომლები და მინდობილობები“.** მათგან პირველისთვის შექმნილია ინტერაქტიული დახმარების მოდული[46] (ინსტრუქცია), რომელიც ე.წ. ასისტენტია და მოხმარებელს უხსნის, თუ როგორ გამოიყენოს სერვისი ან/და იმუშაოს პორტალთან. აღნიშნული მოდული მონიტორინგის ეტაპზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს.

ხაზგასასმელია, რომ Covid-19-თან ბრძოლის პირობებში, საჭირო გახდა დეველოპმენტის მიმართულებით სააგენტოში არსებული რესურსების საჭიროების მიხედვით გამოყენება და პრიორიტეტების ცვლილება. გარდა ამისა, სწორედ საანგარიშო პერიოდში მომიჯნავე ფუნქციების სსიპ-ების - „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიქის“ გაერთიანების გზით, შეიქმნა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო. აღნიშნულმა შიდა პროცესებმა გავლენა იქონია დაგეგმილი აქტივობების დროულად განხორციელებაზე. შესაბამისად, რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული განხორციელების ვადები შეიცვალა.

სერვისების რაოდენობა My.gov.ge-ზე წლების მიხედვით



ამოცანა 4.7

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- მინიმუმ 3 უწყებაში დანერგილია ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა
- შემუშავებულია კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა სკოლებისათვის

რეიტინგი

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია

მაღალი სტანდარტის მმართველობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და ინფორმაციული სისტემების დაცულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

მონიტორინგის ეტაპზე სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა დანერგილია მხოლოდ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

ხაზგასასმელია, რომ 2019 წლის წლიურ ანგარიშის მომზადების ეტაპზეც მხოლოდ აღნიშნულ უწყებაში იყო განთავსებული ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა, რაც იმ დროისთვის პრიორიტეტების ცვლილებამ განაპირობა (Microsoft ლიცენზიების განახლება).

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ამოცანა 4.7-ის განხორციელების პროცესი შეფერხდა უწყებების პასიურობისა და ფინანსური რესურსების არქონის მიზეზებით.

საანგარიშო პერიოდში UNDP-ის დახმარებით შერჩეულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტი. უცხოელი ექსპერტის მიერ, საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, **მომზადდა კიბერჰიგიენის სასწავლო მასალა** (მათ შორის 9 მოკლე, განმარტებითი ხასიათის ვიდეო) და ითარგმნა ქართულ ენაზე. გეგმის მიხედვით

[46] სერვისის მოხმარების ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

აღნიშნული გათვალისწინებული იყო 2019 წლის IV კვარტლით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ დროულად ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მოძიება, განხორციელების ვადები შეიცვალა. უახლოეს მომავალში საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, იგეგმება ონლაინ გარემოში მასწავლებელთა დატრენინგება კიბერჰიგიენის მიმართულებით.

შემდგომი ნაბიჯები

- **სერვისის დიზაინის გზამკვლევსა და ინსტრუქციაზე** მუშაობის დასრულება, შესაბამისი ტრენინგ მოდულის შექმნა და სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომლების გადამზადება
- **სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო** დოკუმენტის მომზადება, შესაბამისი ტრენინგ მოდულის შექმნა და სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა გადამზადება
- **მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის სტანდარტის** საბოლოო ვერსიის მომზადება, შესაბამისი ტრენინგ მოდულის შექმნა და სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა გადამზადება
- **ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოსა და მეთოდოლოგიის** დოკუმენტების საბოლოო ვერსიის მომზადება, შესაბამისი ტრენინგ მოდულის შექმნა და სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა გადამზადება
- **სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილების პროექტის** საბოლოო ვერსიის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა
- საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ონლაინ გარემოში **მასწავლებელთა დატრენინგება კიბერჰიგიენის მიმართულებით.**

რეკომენდაციები

ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა გავლენა იქონია რიგი აქტივობის შედეგის ინდიკატორების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შესრულებაზე. ვადებში ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად და, რაც მთავარია, 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, **მნიშვნელოვანია:**

- მოკლე ვადებში იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის წარდგენა მთავრობისთვის, რათა არ შეფერხდეს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება
- მოკლე დროში დასრულდეს ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებზე მუშაობა, რათა შემუშავდეს მათი შესაბამისი ტრენინგ მოდულები და გადამზადდნენ სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომლები
- ჩატარდეს მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა სერვისის მიმწოდებელ ერთ სახელმწიფო უწყებაში
- სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოკლე დროში წარედგინოს მთავრობას
- გაგრძელდეს სერვისის მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა გადამზადება CAF-ის შესახებ შექმნილი ტრენინგ მოდულის შესაბამისად
- მოკლე ვადებში იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილების პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა
- გაგრძელდეს პორტალ My.gov.ge-ზე უკუკავშირის მექანიზმების სრულყოფილად ინტეგრირება და პორტალზე ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალების განთავსება
- უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ფინანსების მოძიება და ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დამატებით 2 უწყებაში დანერგვა.

ფინანსური ხარჯი

სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით შესასრულებელი აქტივობებისთვის გათვალისწინებული იყო მხოლოდ **დონორული დახმარება.**

საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ვინაიდან გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი, ბიუჯეტის შესაბამისად.

დაგეგმილ და დახარჯულ თანხებს შორის **სხვაობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:** საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციისთვის მოსამზადებელი თანხა (70,600 ლ.), არ

ფინანსური ხარჯი - სახელმწიფო სერვისების მიწოდება

ათვისებულა მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარებისთვის განსაზღვრული თანხა (150, 000 ლ.). ასევე, არ დახარჯულა დონორის თანხა (2,500 ლ.), რომელიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის შესაქმნელად. საანგარიშო პერიოდში ასევე არ ათვისებულა სახელმწიფო უწყებებში ქცელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დასანერგად განკუთვნილი თანხა (442 000 ლ.), რომლითაც უნდა მომხდარიყო აპარატურის შესყიდვა.

*რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, **სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით** 2020 წლის II კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირია:*

ამოცანა 4.1: მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.1.1.1 პოლიტიკის დოკუმენტი განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან და წარდგენილია მთავრობაზე განსახილველად	ნაწილობრივ შესრულდა[47]	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
4.1.2.1 სერვისის დიზაინის გზამკვლევი და ინსტრუქცია შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[48]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.2.2 ჩატარებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციების საჯარო პრეზენტაცია	არ შესრულდა[49]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
4.1.3.1 სერვისის დიზაინის ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	არ შესრულდა[50]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.3.2 სერვისის დიზაინის ტრენინგი გავლილი აქვს ყველა სერვისის მიმწოდებელი უწყების სულ მცირე 3 შესაბამის თანამშრომელს	არ შესრულდა[51]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 4.2: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.2.1.1 სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია მთავრობისთვის	ნაწილობრივ შესრულდა[52]	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
4.2.2.1 სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო და პროცედურები შექმნილია	ნაწილობრივ შესრულდა[53]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.2.3.1 სერვისების მიწოდების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	არ შესრულდა[54]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.2.3.2 სერვისების მიწოდების ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა[55]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 4.3: სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.3.1.1 სერვისის ინდექსის კონცეფცია და მეთოდოლოგია შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს[56]

[47] შემუშავებულია სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის საბოლოო ვერსია, რომელიც ჯერ არ წარდგენილა მთავრობისთვის.
[48] შემუშავებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისთვის საჭირო ინსტრუქციის ნაწილი, თუმცა არ მომზადებულა დოკუმენტების საბოლოო ვერსიები.
[49] საანგარიშო პერიოდში პრეზენტაცია არ ჩატარებულა.
[50] სერვისების დიზაინის ტრენინგ მოდული ხელმისაწვდომი იქნება მას შემდეგ, რაც შემუშავდება სერვისის დიზაინის სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია.
[51] ტრენინგები ხელმისაწვდომი იქნება სერვისების დიზაინის გზამკვლევისა და ტრენინგ მოდულის შემუშავების შემდეგ.
[52] სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მომზადებულია, თუმცა ჯერ არ არის წარდგენილი მთავრობისთვის.
[53] დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება სერვისების დიზაინის სახელმძღვანელოს შექმნის შემდეგ.
[54] ტრენინგები ხელმისაწვდომი იქნება სერვისების დიზაინის გზამკვლევისა და ტრენინგ მოდულის შემუშავების შემდეგ.
[55] საანგარიშო პერიოდში ტრენინგები არ ჩატარებულა.
[56] დოკუმენტი ჯერ არ არის დამტკიცებული.

4.3.3.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[57]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.4.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	ნაწილობრივ შესრულდა[58]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.4.2 ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა[59]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
4.3.5.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა ჩატარებულია 1 სერვისის მიმწოდებელ სახელმწიფო უწყებაში	არ შესრულდა[60]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.7.1 CAF-ის შესახებ შექმნილია მოდული, რომელიც გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	ნაწილობრივ შესრულდა[61]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 4.4: სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.4.1.1 ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია განხილულია სერვისის მიმწოდებელ ყველა უწყებასთან და დადასტურებულია მათ მიერ	ნაწილობრივ შესრულდა[62]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.4.2.1 ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდული ინტეგრირებულია სასწავლო ცენტრის კურიკულუმში და ტრენინგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	არ შესრულდა[63]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.4.2.2 ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა[64]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 4.5: სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.5.1.1 სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილება მომზადებულია და წარდგენილია მთავრობისთვის	ნაწილობრივ შესრულდა[65]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.5.3.1 უკუკავშირის მექანიზმები ინტეგრირებულია My.gov.ge-ზე	ნაწილობრივ შესრულდა[66]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.5.4.1 my.gov.ge-ზე განთავსებულია ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალა	ნაწილობრივ შესრულდა[67]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 4.7: კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.7.2.1 მინიმუმ 3 უწყებაში დანერგილია ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა	არ შესრულდა[68]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.7.4.1 შემუშავებულია კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა სკოლებისათვის	ნაწილობრივ შესრულდა[69]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[57] მონიტორინგის ეტაპზე მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი შემუშავების პროცესშია.
[58] მონიტორინგის ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ტრენინგ მოდულის შემუშავებაზე.
[59] საანგარიშო პერიოდში მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგები არ განხორციელებულა.
[60] საანგარიშო პერიოდში მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა არ ჩატარებულა.
[61] საანგარიშო პერიოდში გაიმართა CAF-ის შესახებ ტრენერთა-ტრენინგი, რომლის ფარგლებში გადამზადდა სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი 4 უწყების 12 თანამშრომელი.
[62] მონიტორინგის ეტაპზე შემუშავების პროცესშია ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია.
[63] მონიტორინგის ეტაპზე ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდული არ არის ინტეგრირებული სასწავლო ცენტრის კურიკულუმში.
[64] საანგარიშო პერიოდში ტრენინგები არ ჩატარებულა.
[65] მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, თუმცა მთავრობისთვის არ წარდგენილა.
[66] უკუკავშირის მექანიზმის სრულად ამოქმედებული არ არის.
[67] ერთი სერვისისთვის შექმნილია და ტესტირების რეჟიმში ფუნქციონირებს ინტერაქტიული დახმარების მოდული (ინსტრუქცია).
[68] ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა დანერგილია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.
[69] მომზადებულია კიბერჰიგიენის სასწავლო მასალა. იგეგმება ონლაინ გარემოში მასწავლებელთა დატრენინგება კიბერჰიგიენის მიმართულებით.

გამოწვევები, რისკები და რეკომენდაციები

გამოწვევები

2020 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, **აქტივობათა განხორციელების პროცესში გამოვლინდა** შემდეგი გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე:

ახალი კორონავირუსის პანდემიის გავლენა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე

საანგარიშო პერიოდში კორონავირუსის პანდემიასა და ვირუსის გავრცელების შესაკავებელ ზომებს გავლენა ჰქონდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაზე. პანდემიის შედეგად შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის ტრადიციული სამუშაო გარემოს გადაფასება და ახალი ნორმების შემოტანა. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა კოორდინაციისა და მენეჯმენტის სისტემა, რამაც, რიგ შემთხვევებში, მოსალოდნელი უარყოფითი გავლენა იქონია საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სამოქმედო გეგმის ვადების მიხედვით განხორციელებაზე.

აღსანიშნავია, რომ პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის** მიმართულებაში გათვალიწინებული რიგი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულება შეფერხდა და ჩამორჩება გეგმით გათვალისწინებულ ვადებს. მათ შორის, შეფერხდა საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის შემუშავება და სამოქალაქო საზოგადოებისთვის წარდგენა. ასევე, მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმის მთავრობის დადგენილებით დამტკიცება და პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის დასრულება. დროში გაიწელა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადის გადამზადება.

ანგარიშვალდებულების მიმართულებით აღსანიშნავია სსიპ-ების შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტის მომზადებისთვის საჭირო ღონისძიებების შეფერხება, რაც, სხვა გარემოებებთან ერთად, გამოიწვია დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლამ. გარდა ამისა, შეფერხდა ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებაც. სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ღია მმართველობის ახალი სამოქმედო გეგმისთვის წინადადებების წარდგენა დაემთხვა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, შედეგად, პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა. ამავე მიზეზით, დაყოვნებით მიმდინარეობს ღია მონაცემების პორტალის განახლების პროცესი და ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დახვეწა.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა **სახელმწიფო სერვისების მიწოდების** მიმართულებით ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება, როგორიცაა სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის დამტკიცება, ასევე ძირითადი სახელმძღვანელოების საბოლოო ვერსიების შემუშავება და შესაბამისი ტრენინგ-მოდულების მომზადება. აღნიშნულმა პროცესებმა უმეტესწილად ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა.

გლობალური პანდემიის გავრცელებამ პრიორიტეტები შეუცვალა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოსაც. უწყების რესურსები სრულად მობილიზდა ერთი მიმართულებით - მოქალაქეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა სახლიდან გაუსვლელად, დისტანციურად და შეუფერხებლად ესარგებლათ ელექტრონული სერვისებით. შესაბამისად, დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი საანგარიშო პერიოდში უწყებისთვის კვლავ ნაწილობრივ შესრულებული დარჩა.

განხორციელების ვადების დაცვა

დაგეგმვის ეტაპზე აქტივობის განსახორციელებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება და შესაბამისად, განხორციელების ვადების დაცვა 2020 წლის პირველ ნახევარშიც გამოწვევად დარჩა. ამ თემას მიმოიხილავს სამდივნოს მიერ მომზადებული 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშები.

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით, სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასებისა და შესაბამისად, გეგმით დადგენილი ვადების დარღვევის მაგალითია, პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური პაკეტის სრულყოფილად მომზადება, დამტკიცება და დაბეჭდვა. აღნიშნული აქტივობის დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2019 წლის III კვარტალი, თუმცა 2020 წლის მეორე კვარტლის დასასრულისთვის აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად რჩება. ამავე მიზეზით, ვადებში ჩამორჩენით მიმდინარეობს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავების აქტივობა.

საანგარიშო პერიოდში **ანგარიშვალდებულების** მიმართულებით აღნიშნული გამოწვევის მაგალითია სსიპ-ების შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტის მომზადება. საკითხის მნიშვნელობის, ჩართული მხარეების რაოდენობისა და გასაწევი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, პროცესს დაგეგმილზე მეტი დრო დაეთმო. ამ მიზეზით, საჭირო გახდა სსიპ-ების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის გაგრძელება.

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებაში ძირითადი აქტივობების განხორციელების ვადებში ჩამორჩენა აღნიშნული ქვე-თავის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამის მაგალითია 2019 წლის III კვარტლით შესასრულებელი აქტივობა - **სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის მთავრობისთვის წარდგენა,** რომელიც 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად რჩება.

რისკები

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე არსებობს მაღალი რისკი, რომ რიგი აქტივობები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, შესაძლოა შეაფერხოს ამოცანების შედეგის ინდიკატორების მიღწევა 2020 წლის ბოლოს.

რეკომენდაციები

არსებული გამოწვევებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდებულია:

- დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, **გაიწეროს ახალი თარიღები.**
- პასუხისმგებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ **შეჩერებული აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების პროცესის გაგრძელება.**
- დროულად ეცნობოს სამდივნოს **ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად შექმნილი შეფერხებების შესახებ,** რამაც შესაძლოა 2020 წლის ბოლოს ხელი შეუშალოს გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

დანართი 1

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების **რეიტინგი** და **სტატუსი** 2020 წლის II კვარტლის მდგომარეობით:

ამოცანა 1.1: პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.1.1.3 მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები - ინსტრუქციები/შაბლონები	ნაწილობრივ შესრულდა[70]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
1.1.3.1 შესაბამისი 70 საჯარო მოხელე გადამზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის (მონიტორინგის და შეფასების) ტრენინგ მოდულში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.1.6.1 მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	ნაწილობრივ შესრულდა[71]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 1.2: პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.2.2.1 შესაბამისი 70 საჯარო მოხელე გადამზადებულია პოლიტიკის (დაგეგმვის), მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ მოდულში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.2.3.1 შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.2.3.2 ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია და ამოქმედებულია ელექტრონული სისტემა (პროგრამა)	ნაწილობრივ შესრულდა[72]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 1.3: ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება[73]

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.3.1.1 ანტიკორუფციული საბჭოს ელ. პორტალის შემუშავების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.2 საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა[74]	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.3 შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.4 შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.1 ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია ელექტრონული სისტემა (პროგრამა) და გაშვებულია მოხმარებაში	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია

[70] დარჩენილია საჯარო კონსულტაციების დანართის მთავრობაზე დასამტკიცებლად წარდგენა.
[71] დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში უნდა აისახოს პანდემიით გამოწვეული ცვლილებები.
[72] სისტემის ამოქმედება დაგეგმილია 2021 წელს.
[73] რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, პასუხისმგებელი უწყება შეაფასებს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემას და შემდეგ შეაფასებს დამოუკიდებელი სისტემის შექმნის აუცილებლობას.
[74] კვლევის საბოლოო ვერსია სამდივნოსთვის არ არის ხელმისაწვდომი.

1.3.2.2 მომზადებულია ელექტრონული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.2.3 ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია

ამოცანა 1.4:. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.4.3.1 გადამზადებულია საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელი 50 საჯარო მოხელე	ნაწილობრივ შესრულდა[75]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 2.1:. დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობასისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
2.1.1.1 ბიუროს მიერ განხილული და გაანალიზებულია მიღებული პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები; ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ხარვეზები	ნაწილობრივ შესრულდა[76]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
2.1.3.1 ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი ფუნქციონირებს საპილოტე რეჟიმში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.6.3 გამართულია სულ მცირე 3 საჯარო განხილვა კანონში და კანონქვემდებარე აქტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ	არ შესრულდა[77]	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.6.4 კანონის პროექტი წარდგენილია მთავრობისთვის	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

ამოცანა 3.1:. ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.1.1.1 სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის შედეგად	ნაწილობრივ შესრულდა[78]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.1.2.1 სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტი შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[79]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.1.2.2 სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია	არ შესრულდა[80]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 3.2:. ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.2.1.1 ღია მონაცემების პორტალი - data.gov.ge განახლებულია	ნაწილობრივ შესრულდა[81]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[75] მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის II კვარტლის დასასრულისთვის აქტივობის შედეგის ინდიკატორი „ნაწილობრივ შესრულებულად“ შეფასდა, განხორციელების დინამიკა პოზიტიურია, რადგან 50 საჯარო მოხელე 2020 წლის IV კვარტლის ბოლომდე უნდა გადამზადდეს.
[76] ხარვეზების გამოვლენის მიზნით, მიმდინარეობს კვლევა, რომლის შედეგები 2020 წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.
[77] გამართულია 3 შიდა შეხვედრა მხოლოდ საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა მონაწილეობით.
[78] იგეგმება სსიპ-ების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის მეორე ეტაპი.
[79] შემუშავებულია სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის სამუშაო ვერსია, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[80] გამართულია 3 შიდა შეხვედრა მხოლოდ საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად აუცილებელია სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის საბოლოო სახით შემუშავება.
[81] კვლევის საბოლოო ვერსია სამდივნოსთვის არ არის ხელმისაწვდომი.

ამოცანა 3.4: ასაჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.4.1.1 ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია; სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტი სრულად ეთმობა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას	ნაწილობრივ შესრულდა[82]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.4.2.1 ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საკონსულტაციო შეხვედრები გამართულია ყველა სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან	ნაწილობრივ შესრულდა[83]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.4.2.2. ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გამართულია საჯარო კონსულტაციები სულ მცირე საქართველოს 7 რეგიონში	არ შესრულდა[84]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
3.4.3.1 OGP საქართველოს ვებ-გვერდი შექმნილია	სრულად შესრულდა[85]	განხორციელების პროცესი დასრულებულია

ამოცანა 3.5:. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
3.5.1.1 ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი პარლამენტისთვის წარდგენილია	არ შესრულდა[86]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
3.5.2.1 ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაციის მიზნით საინფორმაციო სახელმძღვანელო შემუშავებულია	არ შესრულდა[87]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 4.1: მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.1.1.1 პოლიტიკის დოკუმენტი განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან და წარდგენილია მთავრობაზე განსახილველად	ნაწილობრივ შესრულდა[88]	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
4.1.2.1 სერვისის დიზაინის გზამკვლევი და ინსტრუქცია შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[89]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.2.2 ჩატარებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციების საჯარო პრეზენტაცია	არ შესრულდა[90]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
4.1.3.1 სერვისის დიზაინის ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	არ შესრულდა[91]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.3.2 სერვისის დიზაინის ტრენინგი გავლილი აქვს ყველა სერვისის მიმწოდებელი უწყების სულ მცირე 3 შესაბამის თანამშრომელს	არ შესრულდა[92]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

[82] შემუშავებულია ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[83] ახალი კორონავირუსის პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, კონსულტაციები მიმდინარეობს ონლაინ სამუშაო რეჟიმში.
[84] საჯარო კონსულტაციები დაიგეგმება მას შემდეგ, რაც მომზადდება ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, კონსულტაციები ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.
[85] ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ, USAID/GGI-ის მხარდაჭერით დაასრულა ვებგვერდის შექმნისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება. ვებგვერდის პრეზენტაცია 2020 წლის სექტემბერში იგეგმება.
[86] ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტის საბოლოო ვერსია არ შემუშავებულა, შესაბამისად, პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი არ არის.
[87] აქტივობის განხორციელებისთვის აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის დამტკიცება.
[88] შემუშავებულია სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის საბოლოო ვერსია, რომელიც ჯერ არ წარდგენილა მთავრობისთვის.
[89] შემუშავებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისთვის საჭირო ინსტრუქციის ნაწილი, თუმცა არ მომზადებულა დოკუმენტების საბოლოო ვერსიები.
[90] საანგარიშო პერიოდში პრეზენტაცია არ ჩატარებულა.
[91] სერვისების დიზაინის ტრენინგ მოდული ხელმისაწვდომი იქნება მას შემდეგ, რაც შემუშავდება სერვისის დიზაინის სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია.
[92] ტრენინგები ხელმისაწვდომი იქნება სერვისების დიზაინის გზამკვლევისა და ტრენინგ მოდულის შემუშავების შემდეგ.

ამოცანა 4.2: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.2.1.1 სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია მთავრობისთვის	ნაწილობრივ შესრულდა[93]	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
4.2.2.1 სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო და პროცედურები შექმნილია	ნაწილობრივ შესრულდა[94]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.2.3.1 სერვისების მიწოდების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	არ შესრულდა[95]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.2.3.2 სერვისების მიწოდების ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა[96]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

ამოცანა 4.3: სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.3.1.1 სერვისის ინდექსის კონცეფცია და მეთოდოლოგია შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს[97]
4.3.3.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[98]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.4.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგ მოდული ფიქსირდება სასწავლო ცენტრის ტრენინგ კატალოგში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	ნაწილობრივ შესრულდა[99]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.4.2 ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა[100]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
4.3.5.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა ჩატარებულია 1 სერვისის მიმწოდებელ სახელმწიფო უწყებაში	არ შესრულდა[101]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.7.1 CAF-ის შესახებ შექმნილია მოდული, რომელიც გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	ნაწილობრივ შესრულდა[102]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 4.4:. სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.4.1.1 ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია განხილულია სერვისის მიმწოდებელ ყველა უწყებასთან და დადასტურებულია მათ მიერ	ნაწილობრივ შესრულდა[103]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.4.2.1 ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდული ინტეგრირებულია სასწავლო ცენტრის კურიკულუმში და ტრენინგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის	არ შესრულდა[104]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.4.2.2 ტრენინგი გავლილი აქვს სულ მცირე 5 სერვისის მიმწოდებელი უწყების 30 თანამშრომელს	არ შესრულდა[105]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

[93] სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მომზადებულია, თუმცა ჯერ არ არის წარდგენილი მთავრობისთვის.
[94] დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება სერვისების დიზაინის სახელმძღვანელოს შექმნის შემდეგ.
[95] სერვისების მიწოდების ტრენინგ-მოდული არ არის შემუშავებული.
[96] საანგარიშო პერიოდში ტრენინგები არ ჩატარებულა.
[97] დოკუმენტი ჯერ არ არის დამტკიცებული.
[98] მონიტორინგის ეტაპზე მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი შემუშავების პროცესშია.
[99] მონიტორინგის ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ტრენინგ მოდულის შემუშავებაზე.
[100] საანგარიშო პერიოდში მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ჩატარების ტრენინგები არ განხორციელებულა.
[101] საანგარიშო პერიოდში მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა არ ჩატარებულა.
[102] საანგარიშო პერიოდში გაიმართა CAF-ის შესახებ ტრენერთა-ტრენინგი, რომლის ფარგლებში გადამზადდა სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი 4 უწყების 12 თანამშრომელი.
[103] მონიტორინგის ეტაპზე შემუშავების პროცესშია ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია.
[104] მონიტორინგის ეტაპზე ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის ტრენინგ მოდული არ არის ინტეგრირებული სასწავლო ცენტრის კურიკულუმში.
[105] საანგარიშო პერიოდში ტრენინგები არ ჩატარებულა.

ამოცანა 4.5:. სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**შესრულების რეიტინგი:**	**განხორციელების სტატუსი:**
4.5.1.1 სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილება მომზადებულია და წარდგენილია მთავრობისთვის	ნაწილობრივ შესრულდა[106]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.5.3.1 უკუკავშირის მექანიზმები ინტეგრირებულია My.gov.ge-ზე	ნაწილობრივ შესრულდა[107]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.5.4.1 my.gov.ge-ზე განთავსებულია ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალა	ნაწილობრივ შესრულდა[108]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 4.7:. კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**შესრულების რეიტინგი:**	**განხორციელების სტატუსი:**
4.7.2.1 მინიმუმ 3 უწყებაში დანერგილია ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა	არ შესრულდა[109]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.7.4.1 შემუშავებულია კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა სკოლებისათვის	ნაწილობრივ შესრულდა[110]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

დანართი 2

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო (2020 წლის II კვარტლის ბოლოს მდგომარეობით).

[106] მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, თუმცა მთავრობისთვის არ წარდგენილა.
[107] უკუკავშირის მექანიზმის სრულად ამოქმედებული არ არის.
[108] ერთი სერვისისთვის შექმნილია და ტესტირების რეჟიმში ფუნქციონირებს ინტერაქტიული დახმარების მოდული (ინსტრუქცია).
[109] ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა დანერგილია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.
[110] მომზადებულია კიბერჰიგიენის სასწავლო მასალა. იგეგმება ონლაინ გარემოში მასწავლებელთა დატრენინგება კიბერჰიგიენის მიმართულებით.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. “საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.